

საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკა

ტექსტის კორექტორი: ნინო გურასპაული
დაკაბადონება და დიზაინი: თამაზ ჩხაიძე
გარეკანზე: ალაზნის ველი, ბესო გულაშვილის ფოტო ©



EUROEAST
CULTURE

დოკუმენტის მომზადება და გამოცემა დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

პუბლიკაცია განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია ICOMOS საქართველო.
წინამდებარე დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ევროკავშირის პოზიციას.



ICOMOS საქართველო

© ICOMOS საქართველო, 2014

ბეთლემის აღმართი 168, 0105, თბილისი

www.icomos.org.ge

info@icomos.org.ge

Tel: +995 322 984527

ISBN: 978-9941-0-7185-0

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავდა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის რეგიონული თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისათვის, ფარგლებში.

დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკის ამოცანების ანალიზს და გამოწვევების ფორმულირებას. ნაშრომი განიხილავს რა საზოგადოების, მთავრობის, საჯარო სამსახურების, კერძო სექტორისა და მემკვიდრეობით დაინტერესებული სხვა ჯგუფების წინაშე არსებულ პრობლემებსა და შესაძლებლობებს მემკვიდრეობის დაცვის სფეროში, გარკვეულ სტრატეგიულ ამოცანებზეც იძლევა ზოგად რეკომენდაციებს.

კვლევის ამოსავალია დებულება, რომ საქართველოს მოსახლეობისა და ხელისუფლების სწრაფვა ევროინტეგრაციის გზაზე შეუქცევადი პროცესია. საქართველოსთვის ორგანულია დასავლურ ფასეულობათა სისტემა და ის მზად არის „კულტურის სექტორის გასაძლიერებლად და კულტურის, როგორც რეფორმატორის, ტოლერანტულობისა და სოციალური შემაკავშირებლის როლის გასაზრდელად.“

დოკუმენტის შემუშავებისას შეგროვდა და გაანალიზდა ადგილობრივი ოფიციალური სტრუქტურებისა და არასამთავრობო სექტორის ხელმისაწვდომი თემატური კვლევები და ანგარიშები; გაეროს, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების სექტორული დოკუმენტები და ამ ორგანიზაციების საბაზისო ანგარიშები საქართველოში კულტურის პოლიტიკის სფეროზე; ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტების შედეგები.

დოკუმენტის მთავარ რესურსს წარმოადგენს პროექტის ფარგლებში განხორციელებული 4 აქტივობის შედეგები: 1. ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან კონსულტაციები, სხვა ქვეყნებთან შედარებითი ანალიზი, სპეციალური კვლევები, თემატური კითხვარების შედეგების ანალიზი, დაინტერესებულ მხარეებთან და ფოკუს-ჯგუფებთან სამუშაო შეხვედრების ანალიზი; 2. ათი თემატური სემინარი (workshop) აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, უკრაინის, ნორვეგიის, საბერძნეთის, დიდი ბრიტანეთის, პოლონეთისა და იაპონიის 156 ექსპერტის მონაწილეობით; 3. რეგიონულ ექსპერტთა ქსელის ინტერნეტ ჟურნალში გამოქვეყნებული ინფორმაცია; 4. საზოგადოების ჩართულობის ხელისშეწყობის აქტივობის ფარგლებში ჩატარებული სემინარების სერია მცხეთაში და მემკვიდრეობის პოლიტიკის პრობლემებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი განხილვები, ანგარიშები, პეტიციები;

დოკუმენტში გამოყენებული რესურსები ხელმისაწვდომია პროექტის ვებ-გვერდზე
<http://rcchd.icomos.org.ge/?l=G&m=7>

2013 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ორგანიზებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამუშავდა კულტურის პოლიტიკის კონცეფცია. 2014 წელს სამინისტრომ დაიწყო კულტურის პოლიტიკის სამმართველოს შექმნას. საპროექტო ჯგუფი იმედს გამოთქვამს, რომ შემუშავებული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკის ანალიზი ხელს შეუწყობს კულტურის პოლიტიკის დამუშავების მიმდინარე პროცესს და მომავალში მემკვიდრეობის სექტორის რეფორმირებას.

შინაარსი

ხედვა	5
მისია	7
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა.....	10
მემკვიდრეობის დაცვის ადმინისტრირებისა და მართვის სისტემა.....	16
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.....	17
თვითმმართველობის ორგანოები.....	19
მემკვიდრეობის მართვის დეცენტრალიზაცია.....	20
მემკვიდრეობის საინფორმაციო ბაზა და ხელმისაწვდომობა.....	22
საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მემკვიდრეობის დაცვა, რისკისთვის მზადყოფნა და მართვა.....	23
საკანონმდებლო გარემო	24
კანონის აღსრულების პრობლემები მემკვიდრეობის სფეროში	25
მემკვიდრეობის კონსერვაციის მდგომარეობა და კონსერვაციის პრინციპები საქართველოში ...	27
დარგთაშორისი და უწყებათაშორისი თანამშრომლობა – ინტეგრირებული კონსერვაცია.....	29
მემკვიდრეობის დაცვის ეკონომიკა და სოციალური მნიშვნელობა	29
დაფინანსება და ფინანსური ინსტრუმენტები.....	35
რეგიონული განვითარება და მემკვიდრეობის რევიტალიზაცია	38
კულტურული მემკვიდრეობა, როგორც გარემოს დაცვის პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი.	40
კულტურული მემკვიდრეობა და განათლება	41
საზოგადოების მონაწილეობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და მართვაში	46
საერთაშორისო ურთიერთობები.....	48
გამოყენებული მასალა	50

გზა მომავლისკენ

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკა

„ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით, ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით... დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა“.

ილია ჭავჭავაძე, 1897 წლის 31 დეკემბერი

ხედვა

კულტურული მემკვიდრეობა ის ფასეულობაა, რომელიც წარსულთან გვაკავშირებს, აწმყოსთვის მყარ საყრდენს გვაძლევს და მომავლისკენ გზას გვიკვალავს.

საქართველომ ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში შემოინახა კვალი: სოფლის მეურნეობით თუ დავინტერესდებით, ვნახავთ ამ დარგის ჩასახვის, კერძოდ, მიწათმოქმედებისა და მევენახეობის განვითარების ადრეული ეტაპის დამადასტურებელ არქეოლოგიურ მასალას; მეტალურგიის საწყისებს თუ ჩავეძიებით, სამთამადნო საქმის საიდუმლოს ფლობის მანიშნებელ უნიკალურ ძეგლებს აღმოვაჩენთ; მედიცინას თუ შევეხებით, გვერდს ვერ ავუვლით მედეასა და ოქროს საწმისის მითს, მაგრამ ამასთანავე ხევსურეთში ბოლო დრომდე შემონახული ტრეპანაციის ურთულესი ხელოვნება და ბარისახოს პატარა მუზეუმში დაცული ხელით ნაჭედი სამედიცინო იარაღები გაგვახსენდება. შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების საამაყო ძეგლებს თუ ვერცვით, გაგვაოცებს შემოქმედებითი აღმაფრენა და სამშენებლო საქმის ზედმიწევნით ცოდნა. ასევე ადვილად აღმოაჩენს კაცი საქართველოში საინჟინრო, სამეცნიერო, საგანმანათლებლო თუ სხვა დარგის ფლობის მანიშნებელ უტყუარ ფიზიკურ, ზეპირსიტყვიერ, მუსიკალურ თუ წერილობით კვალს. მღელვარე ისტორიის მიუხედავად, ქვეყანა ახერხებდა არამცთუ არ ჩამორჩენოდა საერთო რიტმს, არამედ თავისი წვლილი შეეტანა კაცობრიობის განვითარებაში.

დარგობრივ მრავალფეროვნებას ერთვის საუკუნეების მანძილზე საქართველოს მიწაზე საკუთარი ტრადიციებისა და კულტურული საგანმურის მქონე ეთნიკური ჯგუფების განუწყვეტელი ურთიერთქმედება, ბრძოლებითა და განსაცდელით დატვირთული წარსული, გეოგრაფიული მრავალგვარობა, ბუნებრივი სიმდიდრე. „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“, – შოთა რუსთაველის მიერ ასე დახატული სამყაროს მრავალფეროვნება თითქოს გაცხადდა საქართველოს ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობაში.

ვისაც საქართველოს მაღალმთიან კალთებზე ნაღველას ლურჯი შემონათება უგრძვნია, ვინც გერგეტის სამებიდან ხევის ამაყი მწვერვალებითა და ქედებით, ქვემოთ გადაშლილი ხეობებით დამტკბარა, ვინც ზღვასავით მოლივლივე უკიდეგანო ალაზნის ველს აუდელვებია, ან შავი ზღვის პირას ევკალიპტების ჩრდილში არგონავტების მითს ჩაუფიქრებია, ვინც ქვემო ქართლში

მრავალი ათასი წლის წინ მცხოვრები ადამიანების მიერ შექმნილი ოქროს მაღაროს უროთი და-მუშავებულ გვირაბებს, ან სამცხე-ჯავახეთის მთის კალთებზე გაშენებულ ხეხილის ტერასებს გაუკვირვებია, მისთვის კულტურული მემკვიდრეობა ბუნებისგან განუყოფელია. ასე ჩამოყალი-ბდა კულტურული ლანდშაფტის ცნება, რაც ადამიანისა და ბუნების ერთობლივი შემოქმედების ნაყოფს გულისხმობს.

კულტურული მემკვიდრეობა – ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურული გარემო – ქვეყ-ნის სახესაც განსაზღვრავს და თითოეულ ჩვენგანს იმ განსაკუთრებულ მუხტს სძენს, რომელიც მხოლოდ თაობიდან თაობაზე გადაცემული ღირებულებების უფაქიზეს ერთობლიობას შეიძ-ლება გააჩნდეს. ეს ის სიმდიდრეა, რომელიც წინაპრებისგან გვერგო, რომლის მემკვიდრენიც ყველანი ვართ, მაგრამ რომლის მნიშვნელობას ხშირად ვერ ვაცნობიერებთ და, შესაბამისად, მას ჯეროვნად ვერ ვუფრთხილდებით.

თუმცა ეს მემკვიდრეობა, შეუცნობლად მაინც, ყველას გვაღელვებს და გვესათუთება, თუნდაც ბოლომდე არ გვესმოდეს მისი ნამდვილი რაობა და მნიშვნელობა. ეს არის ის საფუძველი, რაც გვამომრავებს, წინსვლისკენ გვიბიძგებს, ჩვენს იდენტობას განსაზღვრავს და საკუთარ თავში რწმენას გვაძლევს. ეს არის გენეტიკური გამოცდილების, ცოდნისა და კეთილდღეობის წყარო.

საქართველოს მემკვიდრეობას გამოარჩევს ერის შემოქმედებითი გენი და მისი უწყვეტობა; ინ-ტელექტუალური, სამეცნიერო, საწარმოო ცოდნა და ნიჭი; ჯერ კიდევ შეუსწავლელი პრეისტო-რიული იდენტობა, მიწათმოქმედების უმდიდრესი კულტურა; გაქრობის პირას მყოფი ტრადი-ციული საცხოვრისი; საამაყო საბრძოლო წარსული: ბრწყინვალე გამარჯვებები და ტრაგიკული დამარცხებები; თვით დამპყრობელთა კულტურის შეთვისებისა და გადახარშვის უნარი, ერთგ-ვარი შემგუებლობაც კი, ერთობ უხერხული, როგორც თავდაცვისა და გადარჩენის საშუალება; დაბოლოს, ქართველთა ეროვნული და სულიერი იდენტობის განმსაზღვრელი, რელიგიურ სიწ-მინდესთან გაიგივებული ქართული ენა – ყოველივე ეს საქართველოს კულტურული მემკვიდ-რეობის განუმეორებლობის საწინდარია.

მემკვიდრეობა არ არის მხოლოდ წარმატებული ხანის ანარეკლი... იმისათვის, რომ შევიმეცნოთ რანი ვართ, უნდა გავიხსენოთ ჩვენი ქვეყნის ურთულესი, მეტწილად საამაყო, მაგრამ ხანდახან არასახარბიელო ისტორიული განვითარებაც. ამ განვითარების ანარეკლადაც კულტურული მე-მკვიდრეობა გვევლინება, როგორც ამოუწურავი ინფორმაციის შემცველი ცოდნისა და გამოცდი-ლების წყარო, რომელსაც გაშიფრვა, გაცხადება და მომავალი თაობისთვის გადაცემა სჭირდება.

ყველა ამ ფაქტორის ერთობლიობა განაპირობებს საქართველოს მატერიალური და არამატერია-ლური კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის დარგობრივ, რეგიონულ, გეოგრაფიულ, ტიპოლოგიურ, ეთნიკურ და შემოქმედებით მრავალფეროვნებასა და განუმეორებლობას.

კულტურული მემკვიდრეობა ამოუწურავი რესურსია საქართველოს ეკონომიკური და სოცია-ლური განვითარებისთვის; ამ უმვირფასესი რესურსის გამოვლენა, დაცვა, ინტერპრეტაცია და გამოყენება ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური წინსვლის აუცილებელი პირობაა. კულტუ-რული მემკვიდრეობა განუყოფელი ნაწილია გარემოსდაცვითი პოლიტიკისა, რომლის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის სიცოცხლისუნარიანი განვითარება.

მე-20 საუკუნეში კულტურული მემკვიდრეობის ცნება გასცდა მშვენიერს და მოიცვა ყველაფე-რი, რაც კი ადამიანის, საზოგადოების, ქვეყნის განვითარების გარკვეულ ეტაპს შეიძლება ასახავ-

დეს. მის მთავარ მახასიათებლად ამიერიდან არა მხოლოდ ესთეტიკურობა, არამედ ნამდვილობა, ავთენტიკურობა გვევლინება. მისდამი მოპყრობის, მისი დაცვის მთავარი კრიტერიუმიც მისი ნამდვილობის შენარჩუნებაა, ანუ წრფელი დამოკიდებულება იმ ფასეულის მიმართ, რომელსაც შელამაზება არ სჭირდება, რადგან მისი სილამაზე სწორედ მის უტყუარობაშია. ამ ნაღდის, ნამდვილის დაცვაა კულტურული მემკვიდრეობის სწორად განვითარების უცილობელი პირობა.

დაბოლოს, მემკვიდრეობის მრავალფეროვნება, ცოცხალი კულტურული გარემო ის ნაყოფიერი ნიადაგია, რომელზეც აღმოცენდება ყველაზე თამამი, ყველაზე ნოვატორული თანამედროვე ხელოვნება, არქიტექტურა იქნება ეს თუ ქუჩის არტი. ეს ის ნიადაგია, რომელიც უსაზღვრო ასპარეზს უქმნის ხელოვანს, შთააგონებს და მაღალ შემოქმედებით კრიტერიუმებს უწესებს, გემოვნებას ხვეწს, ფართო ხედვას ავითარებს და, ამდენად, პირდაპირ კავშირშია შემოქმედების თავისუფლებასთან. კულტურული მემკვიდრეობის კავშირი ხელოვნების სხვა დარგებთან, რაოდენ უხილავიც არ უნდა იყოს ის, ღრმა და ორგანულია. ეს ურთიერთქმედება უდიდეს მუხტს ქმნის, რომელსაც გამოყენება სჭირდება. არ არსებობს მემკვიდრეობა სოციუმის, კულტურის ფართო კონტექსტის გარეშე.

მისია

მკაფიოდ გაცხადებული სახელმწიფო ხედვის შემუშავება – ეს არის კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკის მთავარი ამოცანა.

ეს სახელმწიფო ხედვა უნდა გულისხმობდეს კულტურული მემკვიდრეობის იდენტიფიკაციას და სწორ ინტერპრეტაციას ფართო კონტექსტში. ჩვენ მემკვიდრეობის კულტურულ-ისტორიულ ასპექტში განხილვისა და დაფასების დიდი ტრადიცია გაგვაჩნია, მაგრამ მისი სოციალური მნიშვნელობა ბოლომდე არ გვაქვს გაცნობიერებული და შესაბამისად, არც მისი პოტენციალია გამოყენებული ჩვენი იდენტობის განმტკიცების, ცოდნისა და გამოცდილების გასაღრმავებლად, ადამიანთა ყოველდღიური გარემოს გასაუმჯობესებლად.

სახელმწიფო ხელს უნდა უწყობდეს თემის, საზოგადოების გაძლიერებას კულტურული მემკვიდრეობის – ორგანული გარემოს – შენარჩუნებისა და განვითარების გზით, რადგან კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მისი შესაძლებლობების გამოყენების გარეშე ვერ მოხდება ქვეყნის სწორი ანუ სიცოცხლისუნარიანი, მდგრადი სოციალური და ეკონომიკური განვითარება. ეს მიდგომა მკაფიოდ უნდა იყოს არეკლილი კულტურული მემკვიდრეობის პოლიტიკაში, კანონმდებლობაში, მართვისა და ადმინისტრირების სისტემაში, საჯარო სამსახურების უფლებამოსილების მკაფიო გამიჯვნაში.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ვალდებულება უნდა აისახოს ასევე ყველა დარგის განვითარების ხედვაში, იქნება ეს ეკონომიკა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, განათლება, საგარეო ურთიერთობები, თავდაცვა თუ სხვა.

შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვის გადანაწილებას ქვეყნის მართვის ყველა დონეზე: ცენ-

ტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებაზე და, რაც მთავარია, საზოგადოებრივ სექტორსა და ფართო საზოგადოებაზე.

კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკის ამოცანაა, ყველას გააგებინოს მემკვიდრეობის მნიშვნელობა და ღირებულება, მაქსიმალურად ჩართოს მოქალაქეები მისი შენარჩუნებისა და განვითარების პროცესში, რაც პირდაპირ კავშირშია მართვის გამჭვირვალობასა და ქვეყნის დემოკრატიზაციასთან. ამ პოლიტიკას უნდა განსაზღვრავდეს სწორედ ფართო საზოგადოება, როგორც იმ ფასეულობების მემკვიდრე, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია და რომლებიც ყველა ჩვენგანს ეკუთვნის. თითოეულ მოქალაქეს გაცნობირებული უნდა ჰქონდეს თავისი როლი, პასუხისმგებლობა და უფლება მემკვიდრეობის დაცვისა და პატრონობის საქმეში. 1897 წელს ილია ჭავჭავაძე წერდა: „დღეს მძლეთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა“. ჩვენს წინაპართა შრომით შექმნილი მემკვიდრეობა ის ნაშრომია, რომლის მოფრთხილება ხელისუფალთა ვალდებულებაც უნდა იყოს და რიგითი ქართველის ძალისხმევაც.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკა გულისხმობს:

1. მემკვიდრეობის მრავალფეროვნების წარმოჩენას და დაცვას;
2. პროფესიული ინსტიტუციების გაძლიერებას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში სხვადასხვა უწყებების პასუხისმგებლობის ამაღლებას;
3. მემკვიდრეობის დაცვასა და განვითარებასთან დაკავშირებული დარგების დეპოლიტიზირებას;
4. კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნებისთვის ფინანსური წყაროების მრავალფეროვნების უზრუნველყოფას;
5. ადგილობრივი თემისთვის ხელშესახები სოციალური და ეკონომიკური სარგებლის მომტანი სპეციალური პროგრამების შემუშავებას მემკვიდრეობის მეგლებსა და ისტორიულ გარემოზე დაყრდნობით;
6. კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას: ყველასთვის ნათელი უნდა იყოს, რატომ და როგორ უნდა მოვუაროთ მემკვიდრეობას, რა შეიძლება მოგვითხროს ამა თუ იმ ძეგლმა და რა შეიძლება შეგვძინოს მისმა მოვლა-პატრონობამ;
7. კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოქალაქეთა წვდომას: ხელმისაწვდომობის გარეშე ვერ განხორციელდება მემკვიდრეობის სოციალური ფუნქცია;
8. გარემოს ფართო კონტექსტის ხაზგასმას – კულტურული და ბუნებრივი ღირებულებების ერთ ჭრილში განხილვას.
9. ამის მისაღწევად შესაბამისი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ცვლილებების განხორციელებას;

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობის დაცვის ხარისხსა და პრინციპებს, რომლებსაც მისი ტიპოლოგიური მრავალგვარობა განსაზღვრავს. მემკვიდრეობის მრავალფეროვნება თავად განაპირობებს მისი დაცვის მექანიზმების დივერსიფიკაციას სწორ ფასეულობებზე დაფუძნებული შეფასებითი სისტემის შექმნით, ისტორიული, სოციალური და კულტურული მახასიათებლების შემუშავებით. ეს მრავალფეროვნება სათანადოდ უნდა იქნას შესწავლილი და ჩვენს კანონმდებლობასა და დაცვის მეთოდოლოგიაში ასახული, რაც შესაბამისი რეფორმის გატარებას მოითხოვს.

მნიშვნელოვანია, ხელი შეეწყოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნისა და მემკვიდრეობის გამოყენებაზე სახელმწიფოსა და მფლობელის უფლებისა და ინტერესების შეთავსებას, ამასთანავე, ამ მემკვიდრეობაზე საზოგადოების უფლებასთან შეჯერებას. ხელისუფლების ამოცა-

ნაა მეპატრონეების მოკავშირეებად ქცევა მემკვიდრეობის დაცვის საქმეში, მათთვის პირობების გაუმჯობესება. ამისათვის აუცილებელია საჯარო სამსახურებსა და მეპატრონეებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა. საჯარო უწყებებმა მაგალითი უნდა მისცენ კერძო მფლობელებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობით. ეს იქნება უმნიშვნელოვანესი ამ სფეროში კანონის უზენაესობის პრინციპის დასამკვიდრებლად.

„ხელთ გვიჭირავს ეს მშვენიერი ქვეყანა...“ – 1897 წელს აღფრთოვანებითა და გულისტკივილით წერდა ილია ჭავჭავაძე. საქართველოს სიმშვენიერეს – მის ბუნებრივსა და კულტურულ მემკვიდრეობას – დღეს საფრთხე ემუქრება.

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, საზოგადოების როლის გაძლიერება კულტურული მემკვიდრეობის მართვაში, მოხალისეობის ინსტიტუტის აღორძინება და გამოყენება ყოველდღიური მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფის მიზნით – ყოველივე ერთად გაკვალავს მემკვიდრეობის დაცვის სიცოცხლისუნარიან გზას, შექმნის „მემკვიდრეობის დაცვის კულტურას“.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა

საქართველოს უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრში¹ ირიცხება 6 803 ძეგლი, საიდანაც 484 ეროვნული მნიშვნელობის ძეგლია. საქართველოდან მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში 3 ობიექტი ირიცხება. საქართველოში 2012 წლიდან მიმდინარეობს არამატერიალური მემკვიდრეობის აღნუსხვა.

საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ მემკვიდრეობის შემდეგ ტიპებს განსაზღვრავს:

მუხლი 3. კანონში გამოყენებული ტერმინები

ი) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი (ძეგლი):

ი.ა) კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ან მოძრავი ობიექტი (საქართველოს სამოქალაჭო კოდექსით განსაზღვრული უძრავი ან მოძრავი ნივთი), რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიენიჭა ძეგლის სტატუსი;

ი.ბ) კომპლექსური ძეგლი – ფიზიკურად, ფუნქციურად, ისტორიულად ან ტერიტორიულად დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ერთობლიობა, რომელიც ტოპოგრაფიულად იდენტიფიცირებადი ერთეულია და რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიენიჭა ძეგლის სტატუსი;

კ) კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონა (დამცავი ზონა) – კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტების ირგვლივ ან/და მათი გავრცელების ან გავლენის არეალში ამ კანონით დადგენილი წესით განსაზღვრული ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს უსაბლუატაციის განსაკუთრებული რეჟიმი და რომლის დანიშნულებაა, მის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობა დაიცვას არასასურველი ზეგავლენისაგან;

ლ) კულტურული მემკვიდრეობა:

ლ.ა) მატერიალური – ადამიანის მიერ ან ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად შექმნილი ნებისმიერი სახის მხატვრული, ესთუტიკური, ისტორიული, მემორიალური ღირებულების მქონე არქიტექტურული, ხელოვნების, ქალაქთმშენებლობითი, სასოფლო, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ეთნოგრაფიული, მონუმენტური, ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებული უძრავი ან მოძრავი ობიექტები, დოკუმენტური მასალები, ასევე ბაღები, პარკები, ლანდშაფტური არქიტექტურის ობიექტები, ისტორიული დასახლებები, ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემო, დაკავშირებული ქვეყნის ისტორიასთან, განვითარებასთან, ფოლკლორთან, რწმენასა და ტრადიციებთან, ადრე ან ამჟამად არსებულ ცივილიზაციასთან.

მუხლი 19. ძეგლის კლასიფიკაცია

- ძეგლის კლასიფიკაცია სახეობებად ხდება მისი ტიპოლოგიის, ისტორიული, კულტურული, მხატვრული, ესთუტიკური, მემორიალური, სულიერი, მეცნიერული და სხვა ღირებულებების მიხედვით.
- ძეგლის სახეობებია: ა) არქეოლოგიური; ბ) არქიტექტურის; გ) საინჟინრო; დ) ქალაქთმშენებლობის (ურბანული); ე) საბაღე-საპარკო ხელოვნებისა და ლანდშაფტური არქიტექტურის; ვ) პალეოგრაფიული; ზ) მონუმენტური სახვითი ხელოვნების; თ) მემორიალური; ი) ეთნოგრაფიული; კ) სახვითი ხელოვნების; ლ) დოკუმენტური.

კანონი ასევე განსაზღვრავს მემკვიდრეობის რეგისტრაციის ფორმას, მუხლი 15. ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება. ძეგლი შეიძლება იყოს ორი კატეგორიის: ძეგლი და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი. საქართველო მსოფლიო მემკვიდრეობის

¹ 2012 წლის მდგომარეობით.

კონვენციის წევრი ქვეყანაა და კანონი ითვალისწინებს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში ძეგლის წარდგენას. მემკვიდრეობის რეგისტრაცია ძეგლის დაცვის გარანტია, ანუ ყველა რეგისტრირებული ძეგლი დაცულია კანონით.

კანონი ასევე ითვალისწინებს დაცვის ზონების სისტემას:

მუხლი 34. კულტურული ძეგლის დაცვის ზონების სტრუქტურა და დადგენის წესები

1. კულტურული ძეგლის დაცვის ზონების სტრუქტურა შედგება ძეგლის ინდივიდუალური დამცავი ზონისა და ზოგადი დამცავი ზონებისაგან.

2. ძეგლის ინდივიდუალური დამცავი ზონა შედგება შემდეგი არეალებისაგან:


- ა) ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალი;
- ბ) ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი.

3. ზოგადი დამცავი ზონებია:


- ა) ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონა;
- ბ) განაშენიანების რეგულირების ზონა;
- გ) ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონა;
- დ) არქეოლოგიური დაცვის ზონა;

უძრავი ძეგლების ნუსხის რეგიონული და ტიპოლოგიური ანალიზი (სურ. №1, 2.) აჩვენებს, რომ როგორც რეგიონული, ისე ტიპოლოგიური თვალსაზრისით ნუსხა გარკვეულწილად დაუბალანსებელია. განსაკუთრებით თვალშისაცემია ტიპოლოგიური სიმწირე და უთანასწორო წარმომადგენლობითობა. რეგისტრირებულ, ანუ დაცულ ძეგლთა უდიდესი ნაწილი საცხოვრებელი და საკულტო არქიტექტურის ნიმუშებია. თუ გავითვალისწინებთ, რომ რეგისტრირებული საცხოვრებლების 80% დედაქალაქია აღნუსხული, ანუ ფაქტობრივად ერთი ქალაქის ურბანულ ქსოვილთან გვაქვს საქმე, მაშინ გასაგები გახდება, რომ რეგისტრირებულ ძეგლთა აბსოლუტური უმრავლესობა შუა საუკუნეების საქართველოს რელიგიურ და საფორტიფიკაციო ხუროთმოძღვრებას განეკუთვნება. რეგიონული დაუბალანსებლობაც გარკვეულად ამით არის გამოწვეული, თუმცა გარკვეულ როლს რეგიონების სიდიდეც თამაშობს.

სურ. 1. მემკვიდრეობის რეგიონული წარმომადგენლობა



სურ. 2. მემკვიდრეობის ტიპოლოგიური წარმომადგენლობა



თვალშისაცემია ისეთი ტიპოლოგიების სიმწირე, როგორიცაა, სამრეწველო, საინჟინრო, საბაღო-საპარკო, მე-20 ს-ის მეორე ნახევრის არქიტექტურა. საგანგამოა არქეოლოგიური და პრეისტორიული ძეგლების უკიდურესი სიმწირე. რაც შეეხება ურბანულს, ეს მცირედი ნაწილიც ზემო სვანეთის რამდენიმე სოფლითა და თბილისისა და სიღნაღის რამდენიმე ქუჩით არის წარმოდგენილი. ნუსხაში არ არის რეგისტრირებული არც ერთი ისტორიული ქალაქი. სამოქალაქო ნაგებობებში შედის 35 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა, ხოლო მემკვიდრეობის ისეთი ტიპი, როგორიცაა სასოფლო-სამეურნო მემკვიდრეობა, საერთოდ არ არის რეგისტრირებული. საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არ იცნობს კულტურული ლანდშაფტის განსაზღვრებას.

ეთნიკურ უმცირესობათა მემკვიდრეობა ნუსხაში ძირითადად საკულტო ნაგებობების სახითაა წარმოდგენილი (გრიგორიანული ეკლესიები და მეჩეთები, მდრესები). არ არის რეგისტრირებული პროფესიულ წრეებში და კვლევებში საკმაოდ ცნობილი ბოლნისის რაიონის გერმანული დასახლებები და ნაგებობები. ნუსხაში არ არის წარმოდგენილი მცირერიცხოვანი ეროვნულ უმცირესობათა მემკვიდრეობა. აღსანიშნავია, რომ 2006 წელს ნუსხაში შევიდა დუხაბორების საცხოვრისების ნაწილი, თუმცა ცოდნა და დოკუმენტაცია ამ მემკვიდრეობაზე უზომოდ მწირია. ასეთივე მწირი და შეუსწავლელია გაქრობის საშიშროების წინაშე მყოფი ეთნოსის, უდიების უძრავი მემკვიდრეობა. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2003), რომელშიც აქცენტი მცირერიცხოვანი ერების ძირითადად არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვაზეა გაკეთებული.

არსებული კანონმდებლობით არსებობს რეგისტრაციის მხოლოდ ერთი ფორმა, ძეგლად აღნუსხვა, რომელსაც ავტომატურად უდგინდება ინდივიდუალური დაცვის ზონა და შეიძლება მიენიჭოს ზოგადი, ვიზუალური, არქეოლოგიური და ა. შ. დაცვის ზონები.

რაც შეეხება დაცვის ზონებს, ზოგადი დაცვის ზონები საქართველოში გააჩნიათ მხოლოდ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებს და თბილისის ისტორიულ ზონას, თუმცა მათგან რეესტრში მარტო ჩაჟაშია რეგისტრირებული.

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ქვეყნები, მემკვიდრეობის მრავალსახოვანი რაობიდან გამომდინარე, მისი სრული სპექტრის წარმოსაჩენად და დასაცავად, რეგისტრის, ანუ დაცვის განსხვავებულ ფორმებს და დონეს განსაზღვრავენ. მაგალითად, ინგლისში, ეროვნულ დონეზე „English Heritage”² მიხედვით მემკვიდრეობის შემდეგი ტიპებია რეგისტრირებული:

- 374 091 ნუსხაში შეტანილი ნაგებობა
- 19 717 მონუმენტი/ძეგლი
- 1 601 რეგისტრირებული ისტორიული პარკი და ბაღი
- 9 080 კონსერვაციული არეალი (ტერიტორიული ობიექტები)
- 43 რეგისტრირებული ისტორიული ბრძოლის ველი
- 46 რეგისტრირებული დაღუპული ხომალდის ნაშთი
- 17 მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტი

თითოეული ტიპოლოგიის შერჩევისთვის ჩამოყალიბებულია მკაფიო ფასეულობათა სისტემა. მაგალითად, რეგისტრირებულია 43 ბრძოლის ველი³ და მათი შერჩევისთვის გამოყენებულია გაცხადებული კრიტერიუმები:

1. „ქვეყნის ისტორიის გარდამტებელი ეტაპთან დაკავშირებული, ...დიდი პოლიტიკოსებისა და მთავარსარდლების სახელი ხშირად რომელიმე ისტორიული ბრძოლის სახელს უკავშირდება;
2. ომის ტაქტიკასა და უნარებთან დაკავშირებული, რაც კვლავაც აქტუალურია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის თვალსაზრისით;
3. ბრძოლის ველი წარმოადგენს ათასობით უცნობი ჯარისკაცის, ოფიცრის, უბრალო ადამიანის განსასვენებელს, რომლებაც თავი გაწირეს ქვეყნისთვის;
4. გადარჩენილი ბრძოლის ველები, შეიძლება შეიცავდეს მნიშვნელოვან ტოპოგრაფიულ და არქეოლოგიურ კვალს, რომელსაც შეუძლია დაგვეხმაროს უკეთ გავიგოთ ამ ადგილას ერთ დროს განვითარებული დრამა;”

საქართველოში უდიდესი სიმბოლური მნიშვნელობისა და საყოველთაო პატივისცემის ობიექტი – კრწანისის ველი – არ არის დაცული მემკვიდრეობა.

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ მემკვიდრეობის ფასეულობათა სისტემატიზაციისათვის, მემკვიდრეობის მრავალფეროვნების სრული გამოვლენისა და მემკვიდრეობის იდენტიფიკაციისათვის მემკვიდრეობის კატეგორიების შიდა ტიპოლოგიების გამოყოფაც ხდება. მაგალითად, პოლონეთში კულტურული ლანდშაფტის რამდენიმე ტიპოლოგიაა აღიარებული:

- პარმონიული კულტურული ლანდშაფტი
- ხელთქმნილი კულტურული ლანდშაფტი
- ინდუსტრიული ლანდშაფტი
- ბრძოლის ველის ლანდშაფტი
- ძეგლისა და ტექნოლოგიური/საინჟინრო მიღწევების დამაკავშირებელი ლანდშაფტი
- საკრალური ლანდშაფტი (ეთნიკურ/რელიგიურ ჯგუფებთან დაკავშირებული)
- რელიგიური ლანდშაფტი
- დასახლებული ლანდშაფტი

თითოეული კატეგორიის შერჩევისთვის დამუშავებულია ფასეულობათა სისტემა და დაცვის რეიიმები.

² <https://www.english-heritage.org.uk/caring/listing/listed-buildings/>

³ <https://www.english-heritage.org.uk/caring/listing/battlefields/>

საქართველოში კულტურული ლანდშაფტის აღნუსხვის ფორმის არარსებობა არალოგიკურია, ვინაიდან მას სწორედ ამ ტიპოლოგიის მრავალფეროვნება და სიმრავლე გამოარჩევს. მაგალითად, 2014 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანეს პიედმონტოს ვენახები: მანფერატო და ლანგე-როერო⁴ (იტალია), რომელიც „...გამორჩეულია ლანდშაფტისა და მისი ესთეტიკური მახასიათებლების ბალანსითა და ჰარმონიულობით, მევენახეობისა და ღვინის წარმოების ავთენტიკურ და უძველეს მოღვაწეობასთან ასოცირებული არქიტექტურული და ისტორიული გარემოს მრავალფეროვნებით“.⁵ მიუხედავად იმისა, რომ ქვევრის წესით ღვინის დამზადების ტრადიცია შესულია მსოფლიოს არამატერიალური მემკვიდრეობის ნუსხაში, საქართველოში გამორჩეული, საკრალური, ისტორიული, ესთეტიკური და აგრარული კულტურის მნიშვნელობის არეალი – ალაზნის ველი – არ არის იდენტიფიცირებული, როგორც კულტურული მემკვიდრეობა და რეგისტრირებული, როგორც კულტურული ლანდშაფტი.

მემკვიდრეობის ფასეულობათა მრავალსახეობის ასახვა საერთაშორისო კონსერვაციის დოქტრინებსა და რეგლამენტებში 1990-იანი წლებიდან ხდება. ამ პერიოდიდან აისახება, მაგალითად, კულტურული ლანდშაფტის კონცეფცია UNESCO-ს, ICOMOS-ის და ევროპის საბჭოს დეკლარაციებსა და კონვენციებშიც. შემუშავდა ხალხური ხუროთმოძღვრების, ინდუსტრიული მემკვიდრეობის, კულტურული გზების ქარტიები. შედეგად მივიღეთ მემკვიდრეობის ცნების გაფართოება, კერძოდ:

- მემკვიდრეობა, როგორც გამოყენების (სარგებლობის), გამოცდილების, ცოდნის რესურსი
- მემკვიდრეობა კლასიკური ხუროთმოძღვრებიდან ხალხურ ხუროთმოძღვრებამდე, ინდუსტრიულ, სამეცნიერო, ტრადიციული საქმიანობების და ა. შ. მემკვიდრეობამდე
- მემკვიდრეობის ესთეტიკური სილამაზის დაცვიდან ისტორიის განვითარების ეტაპების წარმომადგენლობითობის დაცვამდე⁶

საქართველოში გასული საუკუნის 90-იან წლებში გამეფებული უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში დასუსტებულმა ინსტიტუციურმა სისტემამ და უძრაობაში მყოფმა აკადემიურმა ინფრასტრუქტურამ ვერ შეძლო მემკვიდრეობის დაცვის სისტემაზე აესახა საერთაშორისო კონსერვაციის დარგში განვითარებული მოვლენები. საქართველოში არსებული მემკვიდრეობის დაცვის სისტემა ვერ ასახავს ქვეყნის უნიკალური მემკვიდრეობის მრავალფეროვანებას და ძლიერ ჩამორჩება განვითარებულ საერთაშორისო პრაქტიკას.

საყურადღებოა, რომ აღნუსხული მემკვიდრეობის რიცხვი მცირეა, 6 803 მეგლი. მაგალითისთვის, სლოვენიაში⁷ 30 000 ობიექტია რეგისტრირებული, ესტონეთში – 26 578⁸, ნორვეგიაში 6 000 მარტო არქეოლოგიური ძეგლია, ხოლო ჰოლანდიაში – 80 400 უძრავი ძეგლი, საიდანაც 60 000 ეროვნული, 400 რეგიონული და 40 000 მუნიციპალურია⁹.

ექსპერტები¹⁰ პრობლემას ხედავენ იმაშიც, რომ აღნუსხული მემკვიდრეობის კატეგორიების სისტემა არაა დეკვატურია და ვერ ასახავს მემკვიდრეობის ფასეულობათა ხარისხობრივ კატეგორიებს. ტრადიციულად საქართველოში 3 კატეგორიის ძეგლები არსებობდა, მაშინაც ითვლებოდა, რომ ეს არ იყო საკმარისი დიფერენციაცია. ხოლო 2006 წლიდან განხორციელებული საკანონმდებლო

⁴ <http://whc.unesco.org/en/list/1390>

⁵ Per Morten Ekerhovd, Regional authorities and their responsibility for management of the cultural heritage in Norway.

⁶ http://www.culture.si/en/Register_of_Slovene_cultural_heritage_-_rkd.situla.org

⁷ <http://www.kul.ee/en/activities/heritage-conservation>

⁸ Alle Elbers, Legal and institutional framework in the Netherlands for preservation of the historic built environment, 2013,

⁹ დიმიტრი თუმანიშვილი, ძეგლთა კატეგორიების საკითხისათვის, Heritage Conservation Regional Network Journal, 2014, <http://rcchd.icomos.org.ge/?l=G&m=4-4&JID=5&AID=35&l2>

ცვლილების შედეგად დარჩა მხოლოდ 2 კატეგორია, კერძოდ: 484 ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი და დანარჩენი 6 319 ძეგლი. მემკვიდრეობის კატეგორიების სიმცირე ხელს უშლის სწორი დაცვითი რეჟიმების ჩამოყალიბებასაც. 2013 წელს, როცა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ძეგლების ნუსხიდან ამოშლის პროცედურის გამარტივების მიზნით პარლამენტში შეიტანა კანონში ცვლილებების პროექტი, რომელიც „მხოლოდ“ ძეგლის კატეგორიას უნდა შეხებოდა, აღნუსხული მემკვიდრეობის 90% საფრთხის წინაშე დადგა,¹⁰ მათ შორის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრი, მთაწმინდის პანთეონი და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი ნაგებობა.


საჭიროა დამუშავდეს ფასეულობათა მკაფიო სისტემა, რომელიც განსაზღვრავს მემკვიდრეობის რაობას, მის მრავალფეროვნებას, რასაც დაეფუძნება შესაბამისი ტიპოლოგიების დაცვის სტატუსებისა და რეგისტრაციის ფორმების ჩამოყალიბება;

საჭიროა მოხდეს რეგისტრირებული ძეგლების სტატუსის მეტი დიფერენციაცია, რასაც სპეციალური პროგრამა სჭირდება და საჭიროებს მნიშვნელოვან დროსა და ძალისხმევას;

გარდამავალი პერიოდისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ადრე არსებული 3-დონიანი ძეგლთა კატეგორიების სისტემა: ეროვნული (ყოფილი საკავშირო), რეგიონული (ყოფილი ეროვნული) და ადგილობრივი. ამავე პერიოდისთვის შეიძლება განხილულ იქნას ე. წ. ლოკალური/სათემო მემკვიდრეობის იდენტიფიკაციის და აღნუსხვის შესაძლებლობა, რომელიც არ იქნება რეგისტრირებული მანამ, სანამ არ დამთავრდება ძეგლთა რეგისტრაციისა და კატეგორიზაციის რეფორმა.

სურ. 3. მემკვიდრეობის ძეგლების სტატუსის კლასიფიკაცია

რეკომენდაცია გარდამავალი პერიოდისთვის



მემკვიდრეობის მრავალფეროვნება თავად განაპირობებს დაცვის მექანიზმების დივერსიფიკაციას. საქართველოში მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკა უნდა უზრუნველყოფდეს მემკვიდრეობის მრავალფეროვნებისა და წარმომადგენლობითობის უფრო ფართოდ გამოვლენას, წარმოჩნდასა და დაცვას.

¹⁰ ICOMOS საქართველოს კომენტარები საქართველოს კანონში “კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით, 2013

მემკვიდრეობის დაცვის ადმინისტრირებისა და მართვის სისტემა

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო (სამინისტრო) არის მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ქვეყანაში. ამჟამად სამინისტროს არ გააჩნია ოფიციალურად გაცხადებული ხედვის, მისის ან ე. წ. „white paper“, თუნდაც რაიმე სახის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელსაც დაეფუძნებოდა მემკვიდრეობის დაცვის სტრატეგია. 2013 წელს სამინისტროს ორგანიზებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამუშავდა კულტურის პოლიტიკის კონცეფცია¹. 2014 წელს სამინისტრომ დაიწყო კულტურის პოლიტიკაზე მუშაობა, რომელშიც მემკვიდრეობის დაცვის საკითხებიც იქნება გათვალისწინებული. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სამინისტრო გეგმავს შექმნას კულტურის პოლიტიკის სამმართველო.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო (სააგენტო) შეიქმნა 2008 წელს ქვეყნის ეროვნული და მსოფლიო მნიშვნელობის კომპლექსური ძეგლების ბაზაზე და წარმოადგენს მათ ერთობლივასა და სამართალმემკვიდრეს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო კულტურისა და მემკვიდრეობის პოლიტიკაზე პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკისაში.

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო განახორციელებს აჭარის ტერიტორიაზე არსებული მემკვიდრეობის მართვას.

საქართველოს პარლამენტში ფუნქციონირებს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი წარმოადგენს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების მძღვანელს. გარდა მის მუზეუმებში დაცული უმდიდრესი მოძრავი მემკვიდრეობისა, მუზეუმი ახორციელებს მნიშვნელოვანი ტერიტორიული ძეგლების მართვას.

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კვლევასა და დაცვაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისია კურირებს მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციისა და სხვა საერთაშორისო კონვენციების აღსრულებას საქართველოში.

საქართველოს ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე ფლობს ქვეყნის მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს, ისტორიულ ეკლესია-მონასტრებს და სახელმწიფოსთან ერთად ახორციელებს მათ დაცვასა და მოვლა-პატრიონობას.

¹ <http://www.culture.ge/01.pdf>

ქალაქ თბილისის მერია მართავს თბილისის ისტორიულ ნაწილს, რომელიც მსოფლიო მემკვიდრეობის წინასწარული ნუსხის ძეგლია.

მემკვიდრეობის სექტორში აქტიურად მოღვაწეობენ არასამთავრობო ორგანიზაციები:

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი, ICOM საქართველო, ICOMOS საქართველო, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი – CENN, მწვანე ალტერნატივა, ასოციაცია „საზოგადოება და კულტურული გარემო“, „ტფილისის ჰამქარი“, ლურჯი ფარის საერთაშორისო კომიტეტის საქართველოს ეროვნული კომიტეტი, კულტურული მემკვიდრეობის არასამთავრობო მონიტორინგი, „ძეგლის მეგობარი“, „მემკვიდრეობა მომავლისათვის“ და ა. შ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

სააგენტოს დელეგირებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის მართვისა და ადმინისტრირების ამბსოლუტური უფლებამოსილება, კერძოდ: მემკვიდრეობის აღნუსხვა, სამუშაოების დაგეგმვა, სახელმწიფო შესყიდვების მართვა, მონიტორინგის განხორციელება, კვლევითი სამუშაოების ჩატარება, მსოფლიო მემკვიდრეობის მართვა, საერთაშორისო ურთიერთობები, ნებართვების გაცემა და ა. შ. სააგენტოს შემადგენლობაში გარდა თბილისის ოფისისა შედის:

- დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი;
- ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი;
- უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი;
- ქსნის ხეობის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი;
- უჯარმის არქიტექტურული ანსამბლი;
- სამშვილდის არქიტექტურული ანსამბლი;
- გრემის მუზეუმი;
- კლდეკარის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი;
- პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი;
- ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი;
- დიდი ლიახვის ხეობის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი;
- ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი;
- სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი;
- ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;
- ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმი.

მიუხედავად იმისა, რომ სააგენტო ეროვნული ძეგლების ბაზაზე შეიქმნა, რეალურად ახორციელებს მთელი რეგისტრირებული მემკვიდრეობის ადმინისტრირებას და მისი უდიდესი ნაწილის მართვას, ვინაიდან სხვა ინფრასტრუქტურა (გარდა ეროვნული მუზეუმისა და აჭარის ძეგლთა დაცვის სააგენტოსი) ქვეყნის უძრავ მემკვიდრეობას არ გააჩნია. იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონებში არსებულ (ადგილობრივი მნიშვნელობის) ძეგლებს ადგილზე მართვის ერთეულები და ადმინისტრაციები არ გააჩნია, სააგენტო ცდილობს, რეგიონებში არსებული მუზეუმ-ნაკრძალების მეშვეობით განახორციელოს დანარჩენი ძეგლების მოვლა-პატრონობა და მონიტორინ-

გი. ეს სისტემა ეფექტურად ვერ მუშაობს, ვინაიდან ერთი მხრივ, მუზეუმ-ნაკრძალების რესურსები შეზღუდულია და მეორე მხრივ, არსებული ადმინისტრირების წესი არ იძლევა საშუალებას, რომ მუზეუმ-ნაკრძალებმა დამოუკიდებლად განკარგონ თუნდაც მწირი რესურსები. მაგალითისთვის, სააგენტოს შედარებით მძლავრი ერთეული – უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი მართავს მსოფლიო მემკვიდრეობის წინასწარული ნუსხის კომპლექსურ ძეგლს და ამას გარდა, შიდა ქართლის მხარის 617 ძეგლს. მუზეუმ-ნაკრძალის საშტატო ერთეულებისა და წლიური სახელფასო და ადმინისტრირების ბიუჯეტის მონაცემები (სურ. 1) ნათლად აჩვენებს, რომ ასეთი სირთულის ამოცანის შესრულება ამ რესურსებით ფაქტობრივად შეუძლებელია.

სურ. 1. უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული ნაკრძალის 2012 წლის ბიუჯეტი

დასახელება	საშტატო რიცხოვნის ჩათვლით (განკარგის ჩათვლით)	ა.შ. მონიტორინგის ჩატარების და ხასქენების ფინანსი	ხელფასის ფინანსი	წლიური ხელფასის ფინანსი	გ.პ. მონიტორინგის სპეციალისტის თანამდებობრივი საზოგადო ხელფასი	გ.პ. მონიტორინგის სპეციალისტის ავტომატიზირებული ხელფასი	ავტომატიზირებული ხელფასი (ერთეული)	2012 წლის საშტატო ხერჯები (ლარი)	2012 წლის საშტატო ხერჯები (ლარი)	2012 წლის საშტატო ხერჯები მიმდინარე რეიტინგის ხარჯი (ლარი)
უფლისციხის ისტორულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი	16	1	4700	56400	300	3600	1	1650	3548	1750

სააგენტო პასუხს აგებს საკონსერვაციო პროექტების დამტკიცებასა და სარესტავრაციო სამუშაოების ნებართვების გაცემაზე. კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონის შესაბამისად, ნებართვა გაიცემა მინისტრის მიერ (ეს უფლება დელეგირებული აქვს სააგენტოს გენერალურ დირექტორს), რომელიც გადაწყვეტილებას სპეციალისტებისგან შემდგარი საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე იღებს. საბჭო იხილავს ყველა ტიპის პროექტს (დაწყებული მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან, ურთულესი სარესტავრაციო სამუშაოებით დამთავრებული) მთელი საქართველოდან.

სააგენტო პასუხს აგებს საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების დაცვასა და მართვაზე.

ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინსტიტუციონალური განვითარების მხარდაჭერის“ პროექტი², ე.წ. „თვინინგი“ (შემდგომში „თვინინგის“ პროექტი). პროექტმა გამოკვეთა 5 სფერო, რომელიც საჭიროებს რეფორმირებას³:

1. ძეგლზე და არქეოლოგიურ არტეფაქტებზე სამუშაოების ჩატარების მეთოდოლოგიური და ტექნიკური წესები; ნებართვის გასაცემად აუცილებელი დოკუმენტაციის სია – ძეგლის ტიპის, ზომისა და მნიშვნელობის მიხედვით რანჟირების აუცილებლობა;

² პროექტს მართავს იტალიურ-დანიური კონსორციუმი – იტალიის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის სამინისტროს, დანიის კულტურის სააგენტოს, იტალიის მომსახურების კვლევებისა და ტრენინგების ცენტრს (Formez PA), იტალიის ახალი ტექნოლოგიების, ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს მონაწილეობით.

³ კულტურული მემკვიდრეობის სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი და რეკომენდაციები, 2013, „თვინინგის პროგრამა“.

2. კურძო პირებისა და კომპანიებისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე სამუშაოების ჩასატარებლად პროფესიული კვალიფიკაციის მოთხოვნების არარსებობა – რეკომენდაციები სარესტავრაციო სამუშაოებისას სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის დახვეწის შესახებ ტენდერისას ხარისხზე დაფუძნებული სელექციის უზრუნველსაყოფად;
3. კანონი მსოფლიო მემკვიდრეობის შესახებ – სპეციალური რეგულაციები მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებისათვის;
4. კანონით გათვალისწინებული კონტროლისა და სანქციების დაკისრების პროცედურები;
5. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებული 2002 წლის კონკორდატის აღსრულების წესების სუსტი მხარეები, კურძოდ, ძეგლების კონსერვაციის შემთხვევებში.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებული საკონსტიტუციო შეთანხმების (კონკორდატის) მიხედვით, ეკლესია და სახელმწიფო ერთად ახორციელებენ საქართველოს ტერიტორიაზე ისტორიული ეკლესია-მონასტრების მოვლასა და დაცვას. კონკორდატის დებულებები არ არის განვრცობილი სხვა სამართლებრივ აქტებში. სუსტმა კოორდინაციამ და გაუმიჯნავმა უფლებამოსილებამ მრავალი პრობლემა შექმნა სასულიერო მემკვიდრეობის კონსერვაციის საკითხებში. ეს თემა არაერთხელ მოხვდა მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის რეზოლუციებში. საჭიროა ეკლესიის საკუთრებაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კონსერვაციის საკითხებზე საეკლესიო და საჯარო უფლებამოსილი ორგანოების თანამშრომლობისა და უფლება-მოვალეობების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტის შემუშავება.

„თვინინგის“ პროგრამამ შეიმუშავა საჭირო სამოქმედო გეგმა:

„ეკლესიის საკუთრებაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კონსერვაციის საკითხებზე საეკლესიო და საჯარო უფლებამოსილ ორგანოებს შორის თანამშრომლობის მუქანიზმის შემუშავება.

მიზანშეწონილია, რომ ეროვნულმა სააგენტომ და საპატრიარქომ ერთობლივად გააანალიზონ საჭიროებანი და შეიმუშაონ თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც მიზნად ისახავს:

1. სამოქალაქო და სასულიერო უფლებამოსილ პირებს შორის სისტემატური თანამშრომლობის პრაქტიკის ჩამოყალიბებას;
2. როგორც სამოქალაქო, ასევე საეკლესიო ორგანოებში კომპეტენციათა დონეების განსაზღვრას;
3. ერთობლივი საქმიანობის, თანამშრომლობის სფეროებისა და შინაარსის დადგენას;
4. ინიციატივების განხორციელების პროცედურების დადგენას საწყისიდან დასკვნით უზარავდება“.

შედეგად, 2014 წლის 17 ივლისს გაფორმდა მემორანდუმი, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის, კულტურული მემკვიდრეობის საკითხებში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

თვითმმართველობის ორგანოები

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით (კარი II. თავი III. მუხლი 4.1.), კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო დაცვას, გარდა სამინისტროსი, ასევე ახორციელებენ: საქართველოს

იუსტიციის სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ასევე სხვა სახელმწიფო ორგანოები, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები.

იუსტიციის სამინისტრო მონაწილეობს მემკვიდრეობის რეგისტრაციაში, ადგილობრივი თვითმმართველობის მონაწილეობა კი ვერ ხორციელდება ან მინიმალურია. მაგალითად, თელავის მუნიციპალიტეტში 29 სოფლის ტერიტორიაზე 171 ძეგლია. მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და განათლების სამსახურს ერთი ძეგლთა დაცვის სპეციალისტი ჰყავს. 2012 წელს ადგილობრივი ინიციატივა – ყოველი სოფლისთვის აღედგინათ ერთი მცველის შტატი მინიმალური ხელფასით, არ იქნა დაკმაყოფილებული.

სამხარეო ადმინისტრაციაში შესაბამისი სოციალური სამსახურები გათვალისწინებული არ არის.

საქართველოს მემკვიდრეობის ადმინისტრირებისა და მართვის სისტემა ვერ უზრუნველყოფს მემკვიდრეობის ადეკვატურ მართვას.

მემკვიდრეობის მართვის დეცენტრალიზაცია

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ 2000-იან წლებში მომწიფდა, გაძლიერდა და სადღაც დაიწყო, სადღაც კი დასრულდა კულტურული მემკვიდრეობის მართვის დეცენტრალიზაციის პროცესი.

საჭიროა რეორგანიზაცია, რომელიც მიგვიყვანს რეგიონული და ადგილობრივი მემკვიდრეობის პოლიტიკის გაძლიერებამდე. უნდა შემუშავდეს პოლიტიკა, რომელიც უფრო მჭიდროდ იქნება დაკავშირებული მუნიციპალურ მმართველობასთან მიწის მართვის ჩათვლით და სხვ.

მუნიციპალური ხელისუფლება, სწორედ ის ორგანოა, რომელსაც უნდა ევალებოდეს კულტურული გარემოს დაცვის, მართვისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება.

ამისათვის საჭიროა რეფორმის ფრთხილად დაგეგმვა და ეტაპობრივად განხორციელება. უმთავრესია, მთავრობამ ხელი შეუწყოს დაგეგმვისა და განვითარების ხარისხიანი რეგლამენტების შემუშავებას, სრულყოფილი საინფორმაციო ბაზის შექმნას და ადვილად ხელმისაწვდომობას; საჭირო ცოდნისა და უნარების გადაცემას ადგილებზე და შესაფერისი ინფრასტრუქტურის შექმნას.

აჭარისთვის უფლებამოსილებების გადაცემამ აჩვენა, რომ სათანადო მოსამზადებელი ქმედებების გარეშე დეცენტრალიზაცია სასურველ შედეგეს ვერ იძლევა და ფორმალურ ხასიათს ატარებს. სწორედ ამ მაგილითის გაანალიზებით და აჭარის სააგენტოს თანამშრომლებთან კონსულტაციებით შეიძლება რეფორმის სწორი დაგეგმვა.


მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით პირველ ეტაპზე, მოხდეს უფლებამოსილებების დელეგირება და არა გადაცემა. საჭიროა შეიქმნას საკმარისი პრაქტიკა და გამოცდილება, დამკვიდრდეს ადგილზე მემკვიდრეობის მართვის ტრადიცია.

უფლებამოსილების დელეგირებას წინ უნდა უსწრებდეს ძეგლთა დაცვითი რეგლამენტების შექმნის უზრუნველყოფა, მკაფიო პროცედურების განსაზღვრა; ძეგლებზე ჩარევის მეთოდოლო-

გის მარეგულირებელი დოკუმენტების შექმნა, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე ინსტიტუციების დაარსება/გაძლიერება – შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა;

გარდამავალ პერიოდში, ძეგლთა 3 კატეგორიის მიღების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა სამდონიანი მემკვიდრეობის მართვის განხორციელება. ვინაიდან რეგიონულ დონეზე თვითმმართველობა არ ხორციელდება, რეგიონული მნიშვნელობის ძეგლებისთვის შეიძლება შეიქმნას სააგენტოს რეგიონული ოფისები ან განხილულ იქნას ამ უფლებამოსილების გადაცემა შესაბამის რეგიონებში გაძლიერებული და მობილური მუზეუმ-ნაკრძალებისთვის, ადგილობრივი ძეგლების მართვა კი განხორციელდეს მუნიციპალიტეტების მიერ. (სურ. 2)

სურ. 2. მემკვიდრეობის მართვის დეცენტრალიზაცია



მემკვიდრეობის მართვის დეცენტრალიზაცია უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი დეცენტრალიზაციის რეფორმის⁴ ფარგლებში და კონცეფციით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმის ყველა ეტაპზე უნდა მოხდეს მემკვიდრეობის დაცვის საკითხების გათვალისწინება, მაგალითად, როგორიცაა:

„5. რეფორმის სხვა ღონისძიებები 5.1 ტრენინგ-პროგრამების დაგეგმვა...; 5.2 მასშტაბური ტრენინგ-პროგრამის განხორციელება...; 5.7 რეფორმის ფარგლებში დარგობრივ და სპეციალურ საკანონმდებლო-ნორმატიულ აქტებში ცვლილებებისა და დამატებების მომზადება“ და ა.შ.

დეცენტრალიზებული მემკვიდრეობის ადმინისტრირება გაძლიერებული რეგიონული და ადგილობრივი ინსტიტუციებით კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკის მთავარ მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს.

⁴ http://www.gov.ge/files/275_36295_149839_22310313_2_.pdf

მემკვიდრეობის საინფორმაციო ბაზა და ხელმისაწვდომობა

მემკვიდრეობის საინფორმაციო ბაზაზე ხელმისაწვდომობა არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. საქართველოს რეესტრში რეგისტრირებული ინფორმაცია მწირია, ხშირად არაზუსტი და არასაკმარისი დაინტერესებული პირებისა და მხარეებისთვის. ამჟამად მიმდინარეობს და დაგეგმილია რიგი პროექტებისა⁵, რომელიც გააუმჯობესებს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას.

ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატსა და სააგენტოს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში (2012-2016 წწ.) საინფორმაციო სისტემების მიმართულებით ხორციელდება 2 პროექტი: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ბაზის მართვის სისტემის და გის (GIS) პორტალის შექმნა და განვითარება (2013-2016 წწ.).

კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის იგეგმება მემორანდუმის გაფორმება, რომლის მიზანია თანამშრომლობა საქართველოს ეროვნული სივრცითი ინფორმაციული სისტემის განვითარების მიზნით და მონაცემთა გაცვლის მუდმივმოქმედი სისტემის ჩამოყალიბების მიმართულებით.

კულტურული მემკვიდრეობის სააგენტო მონაწილეობს ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის (NSDI) შექმნაში.

მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის არქივის დიგიტალიზაციის და მონაცემთა ბაზის შევსების პროექტი. არქივის მონაცემთა ბაზის საფუძველზე ფუნქციონირებს ვებ-პორტალი www.dataherita.ge.

გის-ის (GIS) მიმართულებით ფუნქციონირებს საიტი www.myherita.ge, რომელზეც განთავსებულია ზოგადი ინფორმაცია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ.

„მოქალაქეებსა და ტურისტებს შორის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცოდნისა და ინფორმაციის გასავრცელებლად ინტერნეტ ტექნოლოგიებისა და კატალოგის გამოყენება სტრატეგიულად მნიშვნელოვანია და საქართველომ ეს უნდა გამოიყენოს როგორც შანსი, რათა საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს სხვადასხვა ობიექტის შესახებ ინფორმაცია, ისტორია, ღირებულებები, კონსერვაციასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები და საჭიროებები (რასაც შეიძლება მოყვეს crowdfunding-ი ინტერნეტით ფულის შემოწირვა სხვადასხვა ფიზიკური პირისა და სპონსორისაგან).“⁶

⁵ ლ. თუმანიშვილი, სააგენტოს საინფორმაციო და საგანმანათლებლო სამსახურის უფროსი, 2014.

⁶ ლუიზა დე მარკო, 2014. პროექტის ფარგლებში გახორციელებული მისის ანგარიში

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მემკვიდრეობის დაცვა, რისკისთვის მზადყოფნა და მართვა

საქართველოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლების დასაცავად მნიშვნელოვანია გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები იუნესკოს ჰაგის კონვენციისა (1954) და მისი მეორე ოქმის (1999) დებულებების ამოქმედებისათვის, კერძოდ, საქართველოს მთავრობამ

- აქტიურად უნდა იმუშაოს იუნესკოს კომიტეტში კულტურული ფასეულობების დასაცავად შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში (საქართველო კომიტეტის წევრია 2013 წლიდან 2017 წლამდე);
- აწარმოოს ფართო საერთაშორისო საზოგადოების გათვითცნობიერების კამპანია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მემკვიდრეობის მდგომარეობის შესახებ;
- გააგრძელოს აქტიური მოლაპარაკება იუნესკოსა და ევროპის საბჭოსთან, გამოიყენოს ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატი ოკუპირებულ ტერიტორიებზე ძეგლების მდგომარეობის შემსწავლელი საერთაშორისო სადამკვირვებლო მისისის მივლინების შესახებ;
- ხელი შეუწყოს დევნილობაში მყოფი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს რესურსების გამლიერებასა და პროცესში ჩართულობას;
- ხელი შეუწყოს ადგილობრივ არასამთავრობო და სამოქალაქო ინიციატივებს, მათ შორის საქართველოს ლურჯი ფარის ორგანიზაციის აქტივობას აღნიშნული მიმართულებით.

შეიარაღებული კონფლიქტისა თუ ბუნებრივი კატასტროფების პირობებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით მნიშვნელოვანია

- უშიშროების ან უსაფრთხოების საბჭოსთან, ან შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტთან შეიქმნას რისკების მართვის ჯგუფი, რომელიც შექმნის რისკის მართვის გეგმას და პასუხისმგებელი იქნება მის განხორციელებაზე. აღნიშნული გეგმა უნდა მოიცავდეს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა: ადამიანური რესურსების მობილიზება, მათი მომზადება, უძრავი და მოძრავი მემკვიდრეობის დასაცავად აუცილებელი ინფრასტრუქტურის მობილიზება და სხვ.
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაში ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ ფუნქცია 17-ს (კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა) დაემატოს ფუნქცია უძრავი ძეგლების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და საშუალებების შესახებ.

2010-2013 წლებში ევროკავშირის დაფინანსებით, პროექტის – „ომისგან თავისუფალი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლები“ (ლიბანი, საქართველო) ფარგლებში დამუშავდა მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ომის რისკებისგან დაცვის მოდელი⁷. მნიშვნელოვანია პროექტის ფარგლებში შემუშავებული გეგმისა და რეკომენდაციების შესრულება.

⁷ პროექტის პარტნიორები: მცხეთის მუნიციპალიტეტი, საომარი მოქმედებების პერიოდში მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის მსოფლიო ასოციაცია – WATCH, იტალია; ბველი ქალაქის რეაბილიტაციის და განვითარების ფონდი, OIRD, საქართველო.

საკანონმდებლო გარემო

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთავარ მარეგულირებელ დოკუმენტს წარმოადგენს საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, რომელიც 2007 წელს იქნა მიღებული და ჩაანაცვლა ძველი 1999 წლის კანონი.

დარგის ფუქციონირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთელი რიგი ძირითადი და დამხმარე საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები (იხ. გამოყენებული მასალა).

მოქმედი კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ძალიან ფართოა და „ამბიციური“¹, იგი ეხება, როგორც უძრავ, ასევე მოძრავ ძეგლებს, არქეოლოგიურ, მატერიალურ და არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას და ჩამოუყალიბებელი ორგანიზაციული და სამართლებრივი პრაქტიკის პირობებში აკლია სიცხადე. კანონის ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს დაცვის მრავალგვარი ზონების საშუალებით მემკვიდრეობის გარემოს მთლიანობის ხაზგასმა და ინტეგრირებულობის დაცვის მცდელობა. კანონში ბევრი ისეთი რამ არის განმარტებული და განსაზღვრული, რაც წესით კანონქვემდებარე აქტებითა და სპეციფიკური რეგლამენტებით უნდა რეგულირდებოდეს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ კანონქვემდებარე აქტები და მარეგულირებელი დოკუმენტები უკიდურესად მცირეა, არსებულ რეალობაში ესეც მის უფრო ძლიერ მხარედ გვევლინება, ვიდრე – ხარვეზად. ამჟამად მიმდინარეობს არამატერიალური მემკვიდრეობის კანონზე მუშაობა.

„თვინინგის“ პროგრამის ფარგლებში შემუშავდა რეკომენდაციები² მარეგულირებელი პროცედურებისა და რეგლამენტების შემუშავების თაობაზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს კანონის უკეთ აღსრულებას. ეს რეკომენდაციები ეხება: ნორმატიული აქტის მიღებას კულტურის მინისტრის მიერ, რაც დაარეგულირებს არქეოლოგიურ ძეგლებზე ჩასატარებელ საქმიანობას; კანონის მიღებას „კულტურული მემკვიდრეობის სფეროში პროფესიული საქმიანობის რეგულირების შესახებ“, რომელიც პროფესიული კვალიფიკაციის და კომპეტენციის საკითხებს ეხება; იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების იდენტიფიკაციისა და მართვის პროცედურების მარეგულირებელი კანონის მიღებას; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და საქართველოს კანონში კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცვლილებების შეტანას.

კანონში ცვლილებები შევიდა 2008 წლის 21 ნოემბერს და 2013 წლის 25 დეკემბერს.

2013 წლის 12 ნოემბერს საქართველოს მთავრობამ პარლამენტს განსახილველად წარუდგინა ცვლილებები, რომლის მიზანია „განსაკუთრებულ შემთხვევებში, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აუცილებლობის არსებობისას“ ძეგლის სტატუსის გამარტივებული მოხსნა. ამ ინიციატივამ პროფესიული წრეების მწვავე რეაქცია გამოწვია, ისინი ითხოვდნენ ცვლილებების პროექტის პარლამენტიდან გამოთხოვნას,³ რასაც ვერ მიაღწიეს, თუმცა პროექტის განხილვა დროებით შეჩერდა.

¹ Morten Stige, Cultural Heritage Management, City of Oslo, 2012, Mission Report within RCCHD Project.

² კულტურული მემკვიდრეობის სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი და რეკომენდაციები, 2013, თვინინგის პროგრამა.

³ ICOMOS საქართველოს კომენტარები საქართველოს კანონში „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით, 2013

კანონში ხშირი, კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად განხორციელებული და ინიცირებული ცვლილებები მნიშვნელოვნად არის გამოწვეული გაცხადებული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობით.

მემკვიდრეობის დაცვის სფეროზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს კანონი სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ. არსებული კანონმდებლობით ქალაქების დოკუმენტაცია არამდგრადია.

კანონი უშვებს წესიდან გამონაკლისებს, რომლის მეშვეობითაც თანამდებობის პირებს უფლება აქვთ, განახორციელონ დოკუმენტაციაში ისეთი ცვლილებები, რომელიც არ იქნება განხილული და შეთანხმებული დაინტერესებულ საზოგადოებასთან, შესაბამისად, ქალაქების დოკუმენტაცია შედგება/შეიცვლება ცვლილებების მოსალოდნელი შედეგების საფუძვლიანი გამოკვლევისა და პროფესიონალური შეფასების გარეშე.⁴

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შემუშავდა საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობების კოდექსის პროექტი, რომელიც აუქმებს ქალაქების გარებითი დოკუმენტაციის შედგენის/შეცვლის საგამონაკლისო გზებს. ცვლილებები ქალაქის გეგმარებაში გათვალისწინებულია მხოლოდ საზოგადოების ფართო და აუცილებელი ჩართულობის ფონზე. კოდექსის საჯარო განხილვები პროფესიული წრეების ჩართულობით წარიმართა. იმ შემთხვევაში, თუ კოდექსის საბოლოო ვერსიაში მაქსიმალურად აისახება პროფესიონალთა კომენტარები, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პოზიცია და ახალი კოდექსი დროულად იქნება მიღებული, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ბუნებრივი, კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის დაცვის საკანონმდებლო გარემო.

საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ და საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემების შესახებ, განსხვავებით კულტურული მემკვიდრეობის კანონისგან, მეტად არის შესაბამისობაში საერთაშორისო კონსერვაციის პრაქტიკასა და კანონმდებლობასთან. აუცილებელია გარემოსდაცვითი და მემკვიდრეობის დაცვის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია.

კანონის აღსრულების პრობლემები მემკვიდრეობის სფეროში

2013 წელს საქართველოს კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის სამინისტროს დაკვეთით დამოუკიდებელმა იურიდიულმა კომპანიებმა⁵ თბილისისა და ბათუმის ისტორიულ უბნებში ბოლო წლებში გახორციელებული პროექტების იურიდიული ანალიზი ჩაატარეს. 11 შესწავლილი შემთხვევიდან 9 შემთხვევაში დარღვეულია კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. იურიდიულმა კვლევამ შემდეგი ტიპის ტენდენციები გამოყო:

1. სახელმწიფო სტრუქტურები თვითონ არღვევენ კანონით განსაზღვრულ პროცედურებს;
2. სახელმწიფო სტრუქტურები უმოქმედობით არ უზრუნველყოფენ კანონის დაცვას;

⁴ ა. ცინცაბაძე, თბილისის ქალაქების გარებითი კანონმდებლობის დახასიათება და ანალიზი, კვლევა დამუშავდა ღია საზოგადოება საქართველოს მხარდაჭერით, მოძრაობა „პარტიზანული მებაღეობა თბილისის“ მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში, 2013.

⁵ კორპახია ქლენტი, საადვოკატო ბიურო; ბოჭორიშვილი, მიქანაძე, პაპუაშვილი -- ბიზნეს და იურიდიული კონსულტაცია; ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები.

3. სახელისუფლებო სტრუქტურები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კანონის საწინააღმდეგო კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს იღებენ.

ამ უკანასკნელის ნათელი მაგალითია ასევე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანება (N05/83, 16.04.14) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ. ბრძანების მიხედვით, კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს შემადგენლობაში შედიან: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის 3 წარმომადგენელი და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განითარების სამინისტროს წარმომადგენელები – ყოველი უწყებიდან ერთი წარმომადგენელი. საბჭოს კომპეტენციაში შედის ძეგლის სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის საკითხები, პროექტების დამტკიცების და სხვა საკითხები, რაც სპეციფიკურ ექსპერტიზას და ცოდნას მოითხოვს. სწორედ ამიტომ, საქართველოს კანონი მემკვიდრეობის შესახებ განმარტავს, რომ „საბჭო დაკომლექტებულია დარგის ექსპერტებითა და საზოგადო მოღვაწეებით.“ (მუხლი 5. პუნქტი 5)

საქართველოში მემკვიდრეობის დაცვის დარგში კანონის აღსრულების პრობლემებს ადასტურებს არასამთავრობო სექტორის შემდეგი კვლევები და ანგარიშები:

თბილისის ჰამქარი – ურბანული მემკვიდრეობის დაცვის საკანონმდებლო პრობლემები და სამართალდარღვევები. 2013; კულტურული მემკვიდრეობის ნუსხის რევიზიის შედეგები. 2014;

საია – რეაბილიტაცია ფასადს მიღმა (ბათუმის რეაბილიტაცია). 2013; საყდრისი – ყაჩაღიანი, კულტურული მემკვიდრეობიდან ოქროს თანამედროვე მოპოვებამდე. 2014;

მწვანე ალტერნატივა – მაღნეული კანონზე მაღლა. 2013.

ამ თვალსაზრისით მემკვიდრეობის დაცვის საკანონმდებლო გარემოში ახალ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს 2014 წლის სასამართლოს გადაწყვეტილებები საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ძეგლის გარშემო. სახელმწიფო სექტორსა და სამოქალაქო სექტორს შორის შექმნილი მწვავე დაცვის შედეგად საქალაქო სასამართლომ 2014 წლის 13 მარტს შეაჩერა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სამართლებრივი აქტი, რომლითაც მან საყდრისში მსხვილმასშტაბიანი მიწის სამუშაოების ჩატარების წებართვა გასცა კერძო კომპანიაზე; 2014 წლის 13 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის თანახმადაც, საყდრისი-ყაჩაღიანის აქეოლოგიურ ობიექტს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მოეხსნა, ბათილად ცნო;

აუცილებელია კანონის აღსრულების მექანიზმის ამუშავება, საჯარიმო მექანიზმების დახვეწა და სადაც საკითხების სასამართლოში განხილვების პრეცედენტების შექმნა. სახელმწიფო და საჯარო სამსახურებმა მაგალითი უნდა მისცეუ მოქალაქეებსა და მთლიანად საზოგადოებას მემკვიდრეობის დაცვის სფეროში კანონის უზენაესობის დაცვის თვალსაზრისით. სამოქალაქო სექტორის გააქტიურებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მემკვიდრეობის დაცვის საკანონმდებლო გარემოს გაუმჯობესებაში.

მემკვიდრეობის კონსერვაციის¹ მდგომარეობა და კონსერვაციის პრინციპები საქართველოში

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის მდგომარეობა არასახარბიელოა. მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხის სამი ობიექტიდან ორი (მცხეთის ისტორიული ძეგლები, ბაგრატის კათედრალი და გელათის მონასტერი) შეტანილია საფრთხეში მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი მრავალი წელია აღნიშნავს მემკვიდრეობის მართვის სისტემის გაუმართაობას საქართველოში, ბაგრატის კათედრალზე განხორციელებულმა სარეკონსტრუქციო სამუშაოებმა კი უფრო ნათლად წარმოაჩინა კონსერვაციის პრინციპების შემუშავების, ინტერპრეტაციისა და გამოყენების პრობლემა საქართველოში.

პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევებმა² თელავში ისტორიული სახლებისა და ბატონის ციხის კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოების (2011-2012) შესახებ აჩვენა, რომ თელავის რეაბილიტაციის პროცესში არსად ყოფილა გამოყენებული კლასიკური რესტავრაციის მეთოდი. ბატონის ციხის ტერიტორიაზე 3 ძეგლის სტატუსის მქონე ისტორიული ნაგებობა უკანონოდ დაინგრა იმ არგუმენტით, რომ მათ უმნიშვნელო ისტორიული ღირებულება ჰქონდათ.

კვლავაც მწვავედ დგას თბილისის ისტორიული ნაწილის შენარჩუნებისა და რეაბილიტაციის სავითხი. არსებული კვლევები ადასტურებენ, რომ 2011-2013 წლებში „საზოგადოებრივი თანხებით განხორციელებული ინტერვენცია ძველ თბილისში სხვა არაფერია, თუ არა ღირებული ისტორიული ნაგებობების მნიშვნელოვანი ნაწილის ჩანაცვლება ახალი რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მდარე კოპიოებით ისტორიულ სტილში.“³ ამ რეაბილიტაციის შედეგად, ავთენტიკური ისტორიული ძეგლების ნაცვლად მივიღეთ ფსევდოისტორიული, მდარე ხარისხის ახალი ნაგებობები, რომლებსაც ძეგლის სტატუსი აქვთ⁴.

საქართველოში მემკვიდრეობის დაცვის სისტემას არ გააჩნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული კონსერვაციის პრინციპები რაიმე დებულების ან რეგლამენტის სახით, მაგალითისთვის ისეთი, როგორც არის “English Heritage”-ის „კონსერვაციის პრინციპები, პოლიტიკა და დირექტივები, ისტორიული გარემოს მდგრადი მართვისთვის“⁵, 2008, ან „ისტორიული ძეგლების კონსერვაციის პრინციპები ჩინეთში“, 2000 და სხვა მრავალი მაგალითი საერთაშორისო გამოცდილებიდან (იხ. გამოყენებული ლიტერატურა).

¹ კონსერვაცია – მემკვიდრეობის ობიექტის მიმართ განხორციელებული პროცესები, რომელიც მიმართულია მისი კულტურული ღირებულების შესანარჩუნებლად. ბურას ქარტია.

² „ძეგლის კონსერვაცია – ძეგლის არსებული მდგომარეობის შენარჩუნების, მისი განადგურების ან შეუქცევადი ცვლილებებისაგან დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა ერთობლიობა.“ – საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.

³ მ. სურამელაშვილი, 2012, თელავის რეაბილიტაციის შედეგები. ნ. ცინცაბაძე, 2013, თელავში, ბატონის ციხეზე განხორციელებული და მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოს დროს დაშვებული მეთოდოლოგიური კანონდარღვევები.

⁴ Morten Stige, 2014, Cultural Heritage Management, City of Oslo, 2014, Mission Report within RCCHD Project.

⁵ თბილისის ჰამქარი, 2014, კულტურული მემკვიდრეობის ნუსხის რევიზიის შედეგები, USAID Georgia

⁶ <http://www.english-heritage.org.uk/publications/conservation-principles-sustainable-management-historic-environment/conservationprinciplespolicesguidanceapr08web.pdf>

⁷ http://www.getty.edu/conservation/publications_resources/pdf_publications/pdf/china_prin_heritage_sites.pdf

საქართველოში კონსერვაციის პრინციპები მხოლოდ კანონშია ზოგადად ჩამოყალიბებული; მემკვიდრეობის ტიპოლოგიისთვის მარეგულირებელი არც ერთი დოკუმენტი და რეგლამენტი არ არის დამუშავებული;

მიუხედავად იმისა, რომ კანონი საკმაოდ დეტალურად განსაზღვრავს ურბანული და არქეოლოგიური ძეგლებისთვის დაცვის ზონების შესაძლებელ ტიპებს და ზონების დადგენის წესებს, კანონით განსაზღვრული კონსერვაციის გეგმა მხოლოდ 3 ძეგლზე⁷ დამუშავებული და მხოლოდ ერთია⁸ ოფიციალურად დამტკიცებული; საქართველოს ურბანული მემკვიდრეობიდან დამცავი ზონა მხოლოდ თბილისს, ჩაჟაშს და მცხეთას გააჩნია, ხოლო განაშენიანების რეგულირების გეგმა და შესაბამისი რეგლამენტი არც ერთს;

მკაფიო საერთაშორისო სტანდარტების კონსერვაციის პრინციპების შემუშავება და მათი სხვადასხვა ტიპოლოგიის ძეგლების მეთოდოლოგიურ რეგლამენტებში ასახვა მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ამოცანაა. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ვალდებულია, კონსერვაციული რეგლამენტების შემუშავებით ხელი შეუწყოს მუნიციპალურ და სხვა საჯარო სამსახურებს, სპეციალისტებს, მეპატრონეებს და მემკვიდრეობით დაინტერესებულ ჯგუფებს, სწორად დაიცვან და მართონ მემკვიდრეობა.

⁷ ჩაჟაში, თელავის ბატონის ციხის კომპლექსი, გელათის სამონასტრო კომპლექსი.

⁸ თელავის ბატონის ციხე

დარგთაშორისი და უწყებათაშორისი თანამშრომლობა – ინტეგრირებული კონსერვაცია

კულტურული მემკვიდრეობა თავისი მრავალგვარი ფასეულობებით ამოუწურავი რესურსია საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის. მემკვიდრეობის სოციალური და ეკონომიკური პოტენციალი ქვეყნის წარმატებისა და საზოგადოების ჰარმონიული განვითარების საფუძველია. ამის მისაღწევად საჭიროა მემკვიდრეობის პოტენციალი სრულად იყოს ინტეგრირებული ქვეყნის განვითარების ეროვნულ პროგრამებში.

უწყებათაშორისი თანამშრომლობა უნდა დაედოს საფუძვლად საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დარგობრივი და ტიპოლოგიური მრავალფეროვნების შესწავლას, წარმოჩენას და დაცვას.

მაგალითად, ნორვეგიაში 2003 წელს ჩატარებული რეფორმის შედაგად, სხვადასხვა სექტორში შესაბამისი უწყებების მიერ განხორციელდა მემკვიდრეობის დარგობრივი ფასეულობების იდენტიფიკაცია, რის შედეგადაც შეიქმნა ეროვნული მემკვიდრეობის დაცვის გეგმა ყოველი სპეციფიკური დარგისთვის, შესაბამისი სამინისტროების ხელმძღვანელობით.¹

მემკვიდრეობის დაცვის ეკონომიკა და სოციალური მნიშვნელობა

მემკვიდრეობის დაცვის ისტორია და საფუძვლები ისეთ უმთავრეს ფასეულობებს უკავშირდება, როგორიცაა: კულტურული, ისტორიული, ესთეტიკური, ეროვნული თვითშეგნების განმსაზღვრელი და საგანმანათლებლო. მე-20 საუკუნეში მოხდა მემკვიდრეობის სოციალურ ფასეულობათა მრავალფეროვნების, ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის გააზრება და აღიარება. მემკვიდრეობის დაცვის ეკონომიკა, როგორც განვითარების თეორია, დასავლეთის ქვეყნებში გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან იღებს სათავეს და 80-იან წლებში განვითარების სრულ ფზაში შედის. ამ მოძრაობის ავტორებმა, მირითადად პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მთელი მიმდინარეობა შექმნეს დარგში. ჩამოყალიბდა სისტემა ეკონომიკური არგუმენტებისა, რომლითაც აღიჭურვნენ მემკვიდრეობის დაცვის პროფესიონალები და აქტივისტები გადაწყვეტილების მიმღებთა წრეში გაბატონებულ აზრზე გავლენის მოსახდენად, რადგან მემკვიდრეობის დაცვა ფუფუნების საგანია და მისი ადგილი მხოლოდ ძლიერ ეკონომიკურ გარემოშია.

„მემკვიდრეობის დაცვას ერთი უცნაურობა ახასიათებს. მის მიმართ არასოდეს ჩნდება რეტროსპექტული წინააღმდეგობა ან სინანული. მემკვიდრეობის დამცველნი ერთადერთნი არიან მსოფლიოში, ვინც მომხდარი ფაქტის შემდეგ ყოველთვის იღებენ საკუთარი სიბრძნის დადასტურებას.“²

ეს არის ყველაზე ხშირად გამოყენებული ციტატა მემკვიდრეობის დაცვის ეკონომიკისადმი მიღვნილ პუბლიკაციებში. სავარაუდოდ, ამის მიზეზი, გარდა ამომწურავად სათქმელის გადმო-

¹ Morten Stige, 2014, Cultural Heritage Management, City of Oslo, 2014, Mission Report within RCCHD Project.

² Donavan D. Rypkema, 1998, The Economics of Historic Preservation. A community Leader's Guide, National Trust for Historic Preservation

ცემისა, ისიც არის, რომ ავტორი თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ამერიკელი ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე ჯონ კენეთ გელბრაითია.

მემკვიდრეობის დაცვის ეკონომიკის მომხრეები ხაზს უსვამენ, რომ თავად სფერო მემკვიდრეობის დაცვისა ეკონომიურია, ვინაიდან რესურსების დაზოგვას უკავშირდება, ენერგოეფექტურია; რომ მემკვიდრეობის ეკონომიკა ჯანსაღი ეკონომიკაა, ფისკალურად პასუხისმგებლიანი და რენტაბელური, რაც არსებულ ეკონომიკურ გამოწვევებს პასუხობს. ამ თემას სისტემატიურად ეძღვნება მემკვიდრეობის დაცვის დარგის საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმები. უკვე ასობით პუბლიკაციაში (იხ. ბიბლიოგრაფია) ჩამოყალიბებულია კონკრეტული მაგალითების პროცენტულ მაჩვენებლებზე და ციფრებზე დაფუძნებული არგუმენტები და მტკიცებულებები იმისა, რომ მემკვიდრეობის დაცვა ქმნის სამუშაო ადგილებს; მემკვიდრეობის ინდუსტრიაში 10-12%-ით მეტი სამუშაო ადგილი იქმნება, ვიდრე იმავე მასშტაბის ახალმშენებლობაში. მაშინ, როცა ახალმშენებლობაში ხარჯის ნახევარი მუშახელის, ნახევარი კი სამშენებლო მასალის უზრუნველყოფისთვისა განსაზღვრული, სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯის 60-70% სამუშაო ადგილებს ხმარდება; სარესტავრაციო საქმიანობისთვის, როგორც წესი, ადგილობრივი მუშახელია საჭირო და შესაბამისად, მათი შემოსავალიც ადგილზე იხარჯება; რესტავრაციისთვის საჭირო სამშენებლო მასალა მეტწილად ადგილობრივი წარმოებისაა მაშინ, როცა ახალმშენებლობისთვის ძირითადად იმპორტირებული მასალებია საჭირო; ეს ყველაფერი კი თავისთავად ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას ემსახურება. დამუშავებულია მთელი რიგი მეთოდოლოგიებისა, თუ როგორ უნდა გაიზომოს მემკვიდრეობის პირდაპირი და ირიბი ზემოქმედება ეკონომიკის განვითარებაზე, მემკვიდრეობის დაცვის ეკონომიკური სარგებელი და რენტაბელურობა. შემუშავდა საკომუნკაციო „ენა“ ერთ დროს ერთი შეხედვით ურთიერთგამომრიცხავ ორ სექტორს, მემკვიდრეობის დაცვასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის:

„ყოველი 1 ევრო სუბსიდია, რომელსაც ხარჯავს პოლანდიის რესტავრაციის ფონდი იზიდავს სამმაგ კერძო ინვესტიციას“.

„კულტურული მემკვიდრეობის ნაგებობებში 1 გირვანქა სტერლინგის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება ქმნის დამატებით 1.60 გირვანქა სტერლინგს ადგილობრივ ეკონომიკაში“³

„სინგაპურში კერძო მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი შენობების ფასი ისტორიულ სამეთობლოში საშუალოდ 200% გაიზარდა 10 წელიწადში, ხოლო კონდომინიუმებისთვის იგივე მონაცემი 150% შეადგენს“.

„ბოლო 20 წლის მანძილზე, ძეგლთა დაცვითი საქმიანობისთვის როუდ ისლენდის გენერალური ასამბლეის მიერ გაღებულ ყოველ 1 დოლარზე სახელმწიფომ მიიღო 1.69 აშშ დოლარი ახალი სახელმწიფო საგადასახადო შემოსავლების სახით. ჩვენი შტატის ეკონომიკის საერთო სარგებელმა ყოველ გაღებულ შტატის დოლარზე 29 აშშ დოლარი შეადგინა“⁴.

³ დუნკან მაკალამი, 2012, ისტორიული ურბანული არეალების გაუმჯობესება ინგლისში: კვლავაც სწავლა ამდენი წლის შემდეგ, საზოგადოება და ისტორიული გარემო, საერთაშორისო კონფერენციის მასალები. ICOMOS საქართველო

⁴ Donavan D. Rypkema, 1998, The Economics of Historic Preservation. A community Leader's Guide, National Trust for Historic Preservation

მემკვიდრეობის დაცვის ეკონომიკის წარმატებული საერთაშორისო მაგალითები⁵ მიუთითებს, რომ იგი ზელს უწყობს ახალი ბიზნესის ფორმირებას, ტურიზმის სტიმულირებას, უძრავი ქონების ფასის გაზრდას, ცხოვრების ხარისხის ამაღლებას, სიღარიბის დაძლევას, საზოგადოების თვითორწმენას. მემკვიდრეობის ეკონომისტები მიუთითებენ ისეთ სპეციფიკურ უპირატესობაზე, როგორიცაა, ისტორიულ გარემოში ქონების მეპატრონის უფრო დაცულობა ეკონომიკური კრიზისების დროს და განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ მემკვიდრეობის დაცვის პოტენციალს, განავთაროს მცირე და საშუალო ბიზნესი მაშინ, როცა: „ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ახალი სამუშაო ადგილების 80%-ს მცირე და საშუალო ბიზნესი ქმნის, ხოლო ე. წ. ახალი ეკონომიკის ქვეყნებში 99%.“⁶

მემკვიდრეობის ეკონომიკას, გარდა პირდაპირი შედეგისა, ახასიათებს განვითარების პროცესის უწყვეტობა, მისი ირიბი ეფექტი კი მზარდია. მემკვიდრეობის წარმატებული მაგალითები აჩვენებს, რომ მემკვიდრეობის ეკონომიკა, როგორც საჯარო პოლიტიკა, ყველაზე მომგებიანი პოლიტიკა რეგიონული თუ ადგილობრივი განვითარებისთვის.

მემკვიდრეობის დაცვის დარგის საგადასახადო შეღავათების დასაბუთება ძირითადად ეყრდნობა ფაქტს, რომ „სარგებელი გაცილებით მეტია ვიდრე ხარჯი“. „მემკვიდრეობის დაცვის დარგის საგადასახადო შეღავათები წარმოადგენს მწირი საზოგადოებრივი რესურსების ფისკალურად პასუხისმგებლიან ინვესტიციას“.⁷

უკვე 1970-იანი წლებიდან გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და მსოფლიო ბანკის მიერ, მკაცრად ეკონომიკურ საფუძველზე, დაიწყო მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ინვესტირების დასაბუთება, ხოლო უკვე 1980-იან წლებში ხმარებაში აქტიურად გაჩნდა ტერმინი „მემკვიდრეობის ინდუსტრია“, რომელიც მზარდი ტურიზმის ინდუსტრიის კვალდაკვალ აღმოცენდა.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებით ტურიზმი ბოლო 60 წლის მანძილზე უწყვეტ ზრდასა და დივერსიფიკაციას განიცდის და ყველაზე დიდი და სწრაფად მზარდი სექტორია ეკონომიკაში. საერთაშორისო ტურისტების რიცხვი 1950 წლიდან 1990 წლამდე 25 მილიონიდან 438 მილიონამდე გაიზარდა, ხოლო 2008 წლისთვის – 922 მილიონამდე. 2020 წლისათვის ნავარაუდევია, რომ საერთაშორისო ტურისტების რიცხვი 1.6 მილიარდამდე გაიზრდება და განსაკუთრებულად მკვეთრად „ახალ რეგიონებში“.

კულტურული და ეკო ტურიზმი ინდუსტრიის ყველაზე მზარდი სეგმენტია და მათი ეკონომიკური სარგებელი უდიდესია. ექსპერტები ხაზს უსვამენ, რომ კულტურული ტურიზმი ხანგრძლივია და როგორც წესი, ამ სექტორის ტურისტი უკან ბრუნდება; ამ სექტორის ტურისტები საშუალოდ ორჯერ მეტ ფულად სახსრებს ხარჯავენ, ვიდრე სხვა სექტორისა; მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსი მნიშვნელოვნად ზრდის ტურისტების რაოდენობას;

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებშიც ითვლება, რომ მემკვიდრეობის დაცვის ეკონომიკის პოტენციალი და სარგებელი გაცილებით მეტია, ვიდრე ცოდნა მის შესახებ, რომელსაც გაღრმავება და პოპულარიზაცია სჭირდება.

⁵ ფეზ მედინა, რიჩმონდი, სიბიუ, ამსტერდამი, ბოსტონი, გენუა, ლუბლინი და ა.შ.

⁶ Ester van Steekelenburg, 2014, ECONOMICS OF HERITAGE, Tbilisi Workshop Presentation

⁷ Donavan D. Rypkema, 1998, The Economics of Historic Preservation. A community Leader's Guide, National Trust for Historic Preservation


საქართველოში, სადაც მემკვიდრეობის კულტურულ, ისტორიულ და ესთეტიკურ ფასეულობათა შესწავლის დიდი ტრადიციაა, მემკვიდრეობის ეკონომიკა ისეთივე ახალი ცნებაა, როგორც დემოკრატია ან სამოქალაქო პასუხისმგებლობა, ან უფრო მეტადაც კი. მასზე წარმოდგენა ძალიან ზოგადი და ფრაგმენტულია. საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ ქვეყანაში დემოკრატიული საზოგადოების შექმნის ურთულესი ამოცანის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მემკვიდრეობის დაცვის სოციალური ფასეულობანი:

- სოციალური ერთობის თუ თანხმობის (cohesion) მიღწევის საშუალება
- ინტერკულტურული დიალოგის კატალიზატორი
- ადგილობრივი, რეგიონული იდენტობის შექმნელი
- ცხოვრების ხარისხის ზრდის საშუალება

პროექტის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვების შედეგმა (სურ. 1.) აჩვენა, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 9.3% მიიჩნევს მემკვიდრეობის სოციალურ ფასეულობას მნიშვნელოვნად.

სურ. 1. პროექტის გამოკითხვის შედეგები.

რა მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობას დღევანდელი საქართველოს განვითარებისათვის (მიუთითეთ მხოლოდ 3 პრიორიტეტული)



საქართველოს მთავრობამ 2014 წელს შეიმუშავა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, 2020. დოკუმენტში კულტურისა და მემკვიდრეობის არც სოციალურ და არც ეკონომიკურ მნიშვნელობაზე არაფერია ნათქვამი. მემკვიდრეობის დაცვის ეკონომიკა არც ტურიზმის განვითარების კონტექსტშია გაუღერებული და თავად ტურიზმის ინდუსტრიასაც არ ექცევა დიდი ყურადღება. ეს ხედვა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მემკვიდრეობის დაცვის გარემოს მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში.

შედარებისთვის, სლოვენიის განვითარების სტრატეგია⁸ 2007-2013, კულტურაში ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევს „მემკვიდრეობის ყოვლისმომცველ“ დაცვას და განვითარებას და მის დაკავ-

⁸ <http://www.culturalpolicies.net/web/slovenia.php?aid=422> Cultural Policies and Trends in Europe

შირებას თანამედროვე ყოფასთან და შემოქმედებასთან, ვინაიდან თანამედროვე საზოგადოებამ პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობაზე და შეასრულოს მისი მორალური მოვალეობა მომავალი თაობების მიმართ“.

აუცილებელია, საქართველოში პროფესიულმა წრეებმა და მემკვიდრეობით დაინტერესებულმა ჯგუფებმა მოახერხონ კონსტრუქციული დიალოგის გამართვა სახელმწიფო სტრუქტურებთან მემკვიდრეობის სოციალურ-ეკონომიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, რათა ეს პოტენციალი სრულყოფილად იქნას გამოყენებული ქვეყნის მდგრადი განვითარების ეროვნულ პროგრამებში. ამ პროცესში წამყვანი როლი ეკუთვნის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

ერთ-ერთ მოკლევადიან მიზნად კულტურულ მემკვიდრეობასთან მიმართებაში სამინისტრომ უნდა დაისახოს „კულტურული მემკვიდრეობის გადაქცევა საზოგადოებრივ რესურსად“.

ამისათვის უნდა მოხდეს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. ცნობილი მაგალითების მოყვანა საჭიროა, მარამ საკმარისი არ არის. მნიშვნელოვანია საერთაშორისო მეთოდოლოგიის გამოყენება, რათა საქართველოში კონკრეტული მაგალითების ანალიზის საფუძველზე დამუშავდეს მემკვიდრეობის დაცვის ეკონომიკური არგუმენტები.

„იფიქრეთ იმაზე, თუ ვინ აკონტროლებს მემკვიდრეობის რესურსების მომავალს: მეპატრონები, ბანკირები, არჩეული პოლიტიკოსები, ეკონომიკური განვითარების ხელმძღვანელები, კომერციული საბჭოების აღმასრულებლები, ბიზნესის წამომადგენლები, სივრცის დამგებარებლები, უძრავი ქონების ბროკერები, და გადასახადის გადამხდელები. რა უნდათ ამ ადამიანებს, რომ იცოდნენ? რა ედირება? რამდენს მოიტანს? რამდენს დაზოგავს? თუ მემკვიდრეობის დამცველებს არ უქნებათ სარწმუნო პასუხი ამ კითხვებზე, მეტი და მეტი მემკვიდრეობის რესურსი დაიკარგება მომავალში“.⁹

საქართველოში მემკვიდრეობის დაცვის დარგი შესაბამის ექსპერტიზას არ ფლობს. არსებული რესურსები და საინფორმაციო ბაზა ძალიან მწირია და სულ რამდენიმე ძალის ხმევით შემოიფარგლება.

დევიდ თროსბის 2012 წლის პუბლიკაცია, *ინვესტიციები ურბანულ მემკვიდრეობაში*¹⁰, იხილავს მსოფლიო ბანკის მიერ 1998-2013 წლებში თბილისის ისტორიულ ნაწილში, ზემო კალაში¹¹ ჩატარებულ სარეაბილიტაციო პროექტის ეკონომიკურ შედეგებს. ავტორი მიუთითებს, რომ შედეგების შეფასებისთვის საჭირო სამეცნიერო მეთოდოლოგია მკაცრად ვერ იქნა დაცული, ვინაიდან ასეთი მიდგომისთვის საჭირო საინფორმაციო ბაზა და სტატისტიკა ადგილზე არ მოიპოვებოდა. ამიტომ შემუშავდა ალტერნატიული, გამარტივებული მეთოდი, რომელიც უფრო პროექტის შედეგებზე მოსაზრებებს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ კვლევა გარკვეულწილად ზედაპირულია, იგი მნიშვნელოვანია, როგორც პრეცედენტი მემკვიდრეობის ეკონომიკის შეფასებისა საქართველოში. კვლევა აჩვენებს, რომ მსოფლიო ბანკის მიერ თბილისში ჩატარებული პროექტის კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ეფექტი პოზიტიურია. ამ ადგილის ეკონომიკური გამოცოცხლება ერთი შეხედვითაც ნათელია. მთავარი დასკვნა კი ის არის, რომ მსგავსი

⁹ Donavan D. Rypkema, 1998, The Economics of Historic Preservation. A community Leader's Guide,National Trust for Historic Preservation

¹⁰ D. Throsby, 2012, Investment in urban heritage. Economic impact of cultural project in FYR Macedonia and Georgia. World Bank.

¹¹ შარდენისა და ერეკლე II-ის ქუჩის გასწვრივ

პროექტის განხორციელების ყოველ ეტაპზე საჭიროა არსებობდეს გამართული მონიტორინგი და შეფასებისთვის საჭირო სტატისტიკა, შესაბამისი რეკომედაციებიც ამისთვისაა მოწოდებული. მემკვიდრეობის სფეროს პოლიტიკის ინდიკატორების სტატისტიკური მონაცემების სიმწირე სფეროს ზოგადი პრობლემაა.¹²

ე. მაისაიას კვლევა¹³ „კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების მოვლა-განვითარების ძირითადი მიმართულებები“ საქართველოში მემკვიდრეობის დაცვის პრობლემებს მიმოიხილავს კონკრეტული მაგალითების საკანონმდებლო და დაფინანსების სისტემების ჭრილში და სხვა ქვეყნების მაგალითების შედარებითი ანალიზის საფუძველზე ზოგად რეკომენდაციებსაც იძლევა.

ა. ელბერსისა და ე. ვან სთეეკელენბურგის დოკუმენტი¹⁴ „დაკვირვებები და დასკვნები“, მველი თბილისის მაგალითზე მიმოიხილავს მემკვიდრეობის სამართლებლივ ჩარჩოს, სახელმწიფო ინვესტიციების პოლიტიკას, ინსტიტუციონალურ გარემოს და კონკრეტულ რეკომენდაციებს იმდევა ძველი თბილისის ისტორიული ნაწილის დაცვისთვის, შესაძლო ფინანსური ინსტრუმენტების შექმნის ჩათვლით.

ჯერჯერობით ეს ინიციატივები ვერ იწვევს თემის აქტუალიზაციას სახელისუფლებო წრეებში. შესაბამისად, მეტი ძალისხმევაა საჭირო საჯარო სივრცეში მემკვიდრეობის ეკონომიკის მნიშვნელობის აღიარების მისაღწევად.

აუცილებელია ამ სფეროში მიზნობრივი კვლევების განვითარება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იქნება დარგთაშორისი კვლევების წარმოება შესაბამის სამეცნიერო და კვლევით ცენტრებში, სამაგისტრო და სადოქტორო კვლევების ინიცირება უნივერსიტეტებში.

სასარგებლო და მნიშვნელოვანია, ითარგმნოს და გამოიცეს მემკვიდრეობის დაცვის ეკონომიკისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები, რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს როგორც საექსპერტო, ისე პოლიტიკური წრეებისათვის.

აუცილებელია, შესწავლილ იქნას საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკური პოტენციალი – გამოვლინდეს და ჩამოყალიბდეს კონკრეტული ეკონომიკური არგუმენტები. მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი მემკვიდრეობის რესურსის სრულყოფილი ადაპტაცია და შესაბამისად დაცვაც. საქართველოს მდგრადი განვითარებისთვის ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

¹² ტრადიციული რეწვა საქართველოში. სექტორის კომპლექსური კვლევა და განვითარების სტრატეგია, 2013, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა.

¹³ ეკატერინე მაისაია. 2012. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების მოვლა-განვითარების ძირითადი მიმართულებები. (საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი), სასწავლო მოდული – „პოლიტიკის ანალიზი და პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა“, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.

¹⁴ ა. ელბერსი. ე. ვან სთეეკელენბურგი. 2013. დაკვირვებები და დასკვნები, პროექტი – “არქიტექტურული მემკვიდრეობის დაფინასება”. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ორგანიზაცია “თბილისის ამქარი”.

დაფინანსება და ფინანსური ინსტრუმენტები

მემკვიდრეობის დაცვის დაფინანსების ძირითადი წყარო საქართველოში კულტურისა და ძეგლთა დაცვის ბიუჯეტის ნაწილია, რომელიც მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გავლით ხმარდება სააგენტოს ინფრასტრუქტურულ ერთეულებს და დიდი ნაწილი, მეტწილად ტენდერებისა და კონკურსების გზით, კონკრეტული სარესტავრაციო სამუშაოების გეგმებისა და ფიზიკური რესტავრაციების დაფინანსებას.

2013 წელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი 7 მილიონი ლარი იყო, საიდანაც 2 934 200 ლარი საპროექტო და სარესტავრაციო სამუშაოებზე დაიხარჯა, დანარჩენი კი სააგენტოს და სტრუქტურული ერთეულების ადმინისტრაციულ და პროგრამულ ხარჯებს მოხმარდა. სააგენტო მონიტორინგის სამსახურის, მუზეუმ-ნაკრძალებისა და საჯარო სამსახურებისა თუ მოქალაქეების განცხადებების საფუძველზე, ასევე საქართველოს საპატრიარქოს მოთხოვნების შესაბამისად, ყოველწლიურად ადგენს ჩასატარებელი სამუშაოების პროგრამას და არსებული რესურსების გათვალისწინებით, ტენდერებისა და კონკურსების მეშვეობით ანაწილებს თანხას. ტენდერების არასრულყოფილი სისტემის, ლიცენზიების სისტემის არარსებობისა და რეგლამენტების სიმწირის გამო შედეგები ხშირად არასახარბიელოა¹⁵. ამ პროგრამის შედგენის რაიმე გაცხადებული სისტემა ან განაცხადის ფორმა და მკაფიო პროცედურა არ არსებობს.

ქართუ ჯგუფის საქველმოქმედო ფონდი, საქართველოს ისტორიული ძეგლების დაცვისა და გადარჩენის ფონდის მეშვეობით, წლიურად საშუალოდ 2 მილიონ ლარს გამოყოფს ძეგლებზე ფიზიკური სამუშაოების შესრულებისთვის. ფონდი დამატებით, სხვა დანაყოფების საშუალებით აფინანსებს ცალკეული კულტურული კერძის რეაბილიტაციის პროექტების შესრულებას. ეს სამუშაოები სააგენტოსთან შეთანხმებით იგეგმება და ძირითადად წარმოადგენს სააგენტოს მიერ დაფინანსებული სარესტავრაციო პროექტების განხორციელებას.

საქართველო მნიშვნელოვან საერთაშორისო დახმარებას ღებულობს კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო გრანტების, საელჩოების სპეციალური პროგრამების, სახელმწიფოთაშორისი ორმხრივი თუ სამმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში დაფინანსებული პროექტების მეშვეობით.

საქართველოში მემკვიდრეობის რეაბილიტაციის გზით სოციალურ-ეკონომიკური განვითარების იდეის „იმპორტიორია“ მსოფლიო ბანკი და მის მიერაა დაფინანსებული ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები კახეთსა და იმერეთში. სამწუხაროდ, ადგილობრივი მემკვიდრეობის დაცვის სუსტმა სისტემამ ხშირ შემთხვევაში ვერ უზრუნველყო ამ პოზიტიური გეგმის წარმატებულად განხორციელება, რასაც მძიმე შედეგები მოჰყვა, მაგალითად, კახეთის რეგიონის გამორჩეული ღირებულების ძეგლებისთვის.¹⁶ ამჟამად როგორც მსოფლიო ბანკის მხრიდან, ისე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გაძლიერებულია პროექტის მონიტორინგი და საერთაშორისო ექსპერტიზა.

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ დაფინანსების სისტემები და ინსტრუმენტები, მემკვიდრეობის დაცვის და კერძო ინვესტიციების წახალისების მექანიზმები საკმაოდ მრავალფეროვანია. იტალიის მაგალითზე კარგად ჩანს, რომ ისეთ ქვეყანაშიც კი, სადაც მემკვიდრეობის

¹⁵ „თვითმიმდევრული განვითარების სამსახურის მიერ განვითარებული მიზანი“ პროგრამა ამუშავებს რეკომენდაციებს აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად

¹⁶ ლუიზა დე მარკო, 2014. პროექტის ფარგლებში განხორციელებული მისიის ანგარიში.

დაცვის სექტორის დაფინანსება პრიორიტეტულია, შემუშავებულია მთელი სისტემა დარგში დამატებითი ფონდების მოსაზიდად.

„იტალიაში დაფინანსების სპეციალური ეროვნული პროგრამები, რომლებიც დაცულ მემკვიდრეობას ეხება, მოიცავს შემდეგს:

- ლატარიის ფონდი („ProventiGiocodelLotto” L. n. 662/1996): შეიქმნა, როგორც სამწლიანი პროგრამა მსხვილი საკონსერვაციო / ვალორიზაციის სქემებისათვის – ფონდები მოიზიდება ლატარიის გათამაშებიდან.
- „8x1000” ფონდი (L. 222/1985). თანხების მოზიდვა ხდება საგადასახადო სისტემიდან ფიზიკური პირების პირად შემოსავლებზე დაწესებული საშემოსავლო გადასახადიდან: ნებისმიერი მოქალაქე უფლებამოსილია გადაწყვიტოს, რა მიზნით დაიხარჯება მის მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის 0.8%, რომელსაც განკარგავს მინისტრთა საბჭო; ერთ-ერთ მიზნობრივ სფეროს კულტურული მემკვიდრეობა წარმოადგენს;...“

„რაც შეეხება საგადასახადო შეღავათებს, აქაც არის შესაძლებლობა, რომ დამატებით 0.5% პირადი საშემოსავლო გადასახადიდან მიმართული იყოს არასამთავრობო ორგანიზაციებისკენ, კვლევითი და საქველმოქმედო ორგანიზაციებისკენ, და ასევე კულტურის სამინისტროსკენ, რათა ამ უკანასკნელმა განახორციელოს საკონსერვაციო პროექტები.“

- „ARCUS s.p.a. ფონდები: ფონდების ეს სახეობა იმართება კულტურის სამინისტროსთან არსებული საზოგადოების მიერ. ფონდი ფინანსდება ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტიდან (3% ინფრასტრუქტურის სამინისტროს წლიური ბიუჯეტიდან); ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და კულტურის სამინისტროს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტებით რეგულირდება ხსენებული თანხების მოხმარება და განაწილება (დარგთამორისი ინიციატივა).
- მსოფლიო მემკვიდრეობის ფონდი (L. 77/2006): ამ კონკრეტული კანონის მიზნები მდგომარეობს შემდეგში:
კანონი ადგენს, რომ ნებისმიერი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვას და კონსერვაციას, იტალიაში სარგებლობს პრიორიტეტული სტატუსით სახელმწიფო ფონდიდან დაფინანსების მოთხოვნის დროს.”

გრანტები და შეღავათიანი სესხები.

- „ხარჯების პირდაპირი ანაზღაურება საკონსერვაციო სამუშაოებისთვის: თანხის 50%-მდე ოდენობით (როგორც წესი, კერძო მფლობელებისთვის მაქს. 30-40%); ანაზღაურების უფლების მოსაპოვებლად თხოვნა წინასწარ წარედგინება კულტურის სამინისტროს პერიფერიულ (რეგიონულ) სამსახურს.
- წილი სესხის საპროცენტო განაკვეთის დაფარვაში: ამ შემთხვევაში გრანტი პირდაპირ გადაეცემა ბანკს, რომელმაც სესხი გასცა აღსაღენი დაცული მემკვიდრეობის მფლობელზე ან მესაკუთრეზე. ეს არის სესხის საპროცენტო განაკვეთის სახელმწიფოს ფონდებიდან სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის საშუალება (დამოკიდებულია სესხის საპროცენტო განაკვეთის ოდენობაზე).

- შესაძლებელია გადასახადების შემცირება (სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების 50%-მდე (მაქ्स. 96 000 ევროს ფარგლებში), რაც აკლდება საშემოსავლო თანხას, რომელიც გადანაწილდება კვოტებად ათი წლის განმავლობაში. თანხამ შეიძლება შეადგინოს კონკრეტული ღონისძიებებისთვის 65%...)
- იტალიაში დღე-ს შემცირება ეხება არსებულ შენობებზე ყველა სახის გადაუდებელ სარემონტო სამუშაოებს, მიუხედავად იმისა, დაცულია თუ არა ეს შენობები რაიმე სტატუსით. დღე მცირდება 22% დან 10%-მდე (თავიდან იყო 4%), მიუხედავად ამისა, ეს შემცირება არ ეხება არქეოლოგიურ კვლევებსა და მუშაობას.
- სპონსორობა – ურბანულ სექტორში არსებობს სხვა დამატებითი ფინანსური პროგრამებიც, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ურბანული მემკვიდრეობის რეაბილიტაციაში.

შეღავათიანი საკრედიტო სისტემა მფლობელთათვის გამოყენებულ იქნა ოსლოს ისტორიული ცენტრის განახლების პროექტის¹⁷ დროსაც, მიუხედავად იმისა, რომ ნორვეგია მასშტაბურ საზოგადოებრივ ინვესტიციებს ახორციელებს მემკვიდრეობის დაცვაში, როგორც სოციალურ და ეროვნულ ღირებულებაში და გამოირჩევა საგადასახადო შეღავათების უკიდურესი სიმცირით.

ყველა ქვეყანა მისთვის შესაფერის დაფინანსების სქემასა და ფინანსურ ინსტრუმენტებს ქმნის, საიდანაც შეიძლება გამოვყოთ ყველაზე გავრცელებული ფორმები:

- საზოგადოებრივი და კერძო სექტორის პარტნიორობა;
- სუბსიდიები
- შეღავათიანი სესხები
- საგადასახადო შეღავათები
- მიზნობრივი გადასახადები
- საბანკო გარანტიები
- მბრუნავი ფონდები
- საქველმოქმედო ფონდები, მეწარმეთა კულტურის ფონდები;
- კულტურის ლატარია

საქართველოში არ არსებობს წახალისების არანაირი მექანიზმები ისტორიული ქონების მფლობელებისთვის და ისტორიულ გარემოში ინვესტირებისთვის. ერთადერთი საგადასახადო შეღავათი, სარეაბილიტაციო სამუშაოების დამატებითი ღირებულების გადასახადისგან განთავისუფლება, ეროვნული მნიშვნელობის ძეგლებს ეხება. ეს ვერ ახდენს გავლენას სიტუაციაზე, ვინაიდან, როგორც ვნახეთ, სულ 500-მდე ძეგლია ეროვნული მნიშვნელობის და მათი უმრავლესობა ეკლესიის საკუთრებაა, რომელსაც ისედაც ეხება შეღავათი სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებული კონკორდატის შესაბამისად. სასურველია, რომ ეს შეღავათი გავრცელდეს მთლიანად რეგისტრირებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე.

მემკვიდრეობის დაცვის დარგში კერძო ინვესტიციების წახალისების მექანიზმები აუცილებელია, ვინაიდან ეს გარდა ფინანსური რესურსების მოზიდვისა, მკაფიო გზავნილია საზოგადოებისთვის, რომ დარგი მნიშვნელოვანია და მასზე ზრუნვა ყველას პასუხისმგებლობაა. ასეთი მექანიზმების არარსებობა, მწირი საზოგადოებრივი რესურსების პირობებში განწირულს ხდის მე-

¹⁷ Morten Stige, 2014, Cultural Heritage Management, City of Oslo, 2014, Mission Report within RCCHD Project.

მკვიდრეობის დიდ ნაწილს და კულტურულ-ისტორიულ გარემოს. ექსპერტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ხაზს უსვამს საგადასახადო შეღავათების სისტემის უპირატესობას, „ამერიკული (აშშ) სისტემა 1970 წლიდან ითვალისწინებს მნიშვნელოვან საგადასახადო შეღავათებს მეპატრონეულისთვის იმ სამუშაოებზე, რომლებიც აშშ-ს ისტორიულ ძეგლთა ეროვნული რეესტრის შენობებზე მიმდინარეობს – არა იმიტომ, რომ მთავრობას უყვარს ისტორიული ნაგებობები, არამედ იმიტომ, რომ გადასახადები მასალასა და მუშახელზე ბევრად ფარავს მეპატრონეულითვის მინიჭებულ საგადასახადო შეღავათებს“.¹⁸

მრავალი წელია, რაც ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები იღვწიან ქველმოქმედების კანონის მიღებისთვის, რაც წაახალისებდა კერძო ინვესტიციების მოზიდვას კულტურის სფეროში.

„კულტურის ლატარიის“ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების საჭიროებაზე მიუთითებს ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის კვლევა – „ტრადიციული რეწვა საქართველოში“, 2012. „ევროპის ქვეყნებში კულტურის დაფინანსების აღნიშნული წყარო სულ უფრო პოპულარული ხდება. მაგალითად, დანიაში ლატარიიდან მიღებული დაფინანსება სახელმწიფო დაფინანსების 16,77%-ს შეადგენდა, დიდ ბრიტანეთში – 37,62%, ფინეთში – 71,38%“.

აუცილებელია, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, დარგთაშორისი თანამშრომლობით, უწყებათაშორისი კონსენსუსის საფუძველზე შემუშავდეს საქართველოსთვის მისაღები კულტურისა და მემკვიდრეობის დაცვის დაფინანსების მექანიზმები.

რეგიონული განვითარება და მემკვიდრეობის რევიტალიზაცია

რეგიონებში გარემოს რევიტალიზაციის პროგრამების განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში, როგორიცაა, მაღალმთიანეთის რეგიონები, ბუნებრივი, მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობა ფაქტობრივად ერთადერთი რესურსია, რომლის სწორი გამოყენებითა და დაცვითაც შეიძლება ამ რეგიონების გადარჩენა და წარმატებული განვითარება.

რეგიონული განვითარების საკითხები მემკვიდრეობასთან მიმართებაში, მართვის დეცენტრალიზაციის გარდა, მნიშვნელოვნად არის სივრცითი დაგეგმარების წესრიგთან დაკავშირებული. ამ მხრივ საქართველოში ჯერჯერობით ქაოსია და საკანონმდებლო გარემოს მოწესრიგება ახლა მიმდინარეობს. ამ პროცესში მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. საინტერესოა პოლონეთის მაგალითი, სადაც სივრცითი განვითარების კანონით განსაზღვრულია „კომუნის სივრცითი მართვის მიმართულებებისა და პირობების კვლევა“, რომელშიც ინტეგრირებულია მემკვიდრეობის საჭიროებანი და სპეციფიკა, ხოლო რეგიონული სამინისტროს დირექტივაში (2008) რევიტალიზაციის პროგრამა განხილულია, როგორც მართვის ინსტრუმენტი.¹⁹

რაჭა-ლეჩებულისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია (2014-2021) მნიშვნელოვან რესურსად მიიჩნევს ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობას: „რეგიონის ბუნებრივ-

¹⁸ ჰერბ სტოველი, 2010, საზოგადოება და ისტორიული გარემო, საერთაშორისო კონფერენციის მასალები. ICOMOS საქართველო

¹⁹ Aleksandra Czyżewska, The Cultural Heritage as a part of urban policy, 2nd International Capacity Building Workshop – “Managing Cultural and Urban Landscapes”, Tbilisi, November 15-16th, 2012

გეოგრაფიული პირობები, მიზანიდველი ბუნება, კლიმატური პირობები, მთის სუფთა ჰაერი, წინვანი და ფოთლოვანი ტყეების სიხშირე, კულტურული ძეგლების სიმრავლე, მინერალური წყლებისა და სხვა ბუნებრივი რესურსების სიუხვე ქმნის უნიკალურ პირობებს სხვადასხვა სახის ტურიზმის (საავტომობილო, საცხენოსნო, საფეხმავლო და სამონადირეო ტურიზმი, კოლურიზმი და სხვ.) განვითარებისათვის“.⁶ ეს ყველაფერი სწორედ რომ ტრადიციული კულტურული გარემოა, მაგრამ ამ გარემოს მიმართ ერთიანი ხედვა და შესაბამისად, მისი განვითარებისთვის საჭირო კომპლექსური მექანიზმები შემუშავებული არ არის. მაგალითისთვის, დასახლებათა ისერსახის და სივრცითი დაგეგმვის განხილვისას მითითებულია, რომ არც სამხარეო და არც მუნიციპალურ დონეზე არ ხორციელდება სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა.

გარემისდაცვითი კუთხით აღნიშნულია, რომ მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მომზადდა რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის გეგმარებითი დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმები, რომელიც მოიცავს რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის ეროვნულ პარკს, ბუნების 12 ძეგლს და 4 აღვეთილს. „აღნიშნული გარემოება ხელს შეუწყობს ეროვნული პარკის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის ჩართვას კოტურისტულ საქმიანობასა და სხვადასხვა სოციალურ პროექტებში. შესაძლებელი გახდება მოსახლეობის გადამზადება გიდის სერვისის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე საოჯახო სასტუმროებისა და კვების ობიექტების განვითარება და ადგილობრივი პროდუქციის რეალიზაცია, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას“.

მნიშვნელოვანია მემკვიდრეობის დაცვის დარგი მომზადებული დახვდეს ამ სტარტეგიის განხორციელებას და ხელი შეუწყოს სპეციფიკური მარეგულირებელი დოკუმენტებისა და კონსერვაციის პრიციპების მომზადებას და მათ ინტეგრაციას დაგეგმილ და განხორციელებულ მენეჯმენტის გეგმებში. დოკუმენტში მემკვიდრეობა ზოგადად განიხილება. ამასათან რაჭა გამორჩეულია შემორჩენილი ხალხური შემოქმედების უნიკალური ხის ოდა-სახლებით. გარდა უდიდესი კულტურული ღირებულებისა („ზოგადეროვნული“ საცხოვრისის სახე), განუსაზღვრელია მემკვიდრეობის ამ სახეობის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალი კულტურული ტურიზმისა და მცირე საოჯახო ბიზნესის განვითარებისთვის. ამ ტიპოლოგიის მემკვიდრეობის რესტავრაციას კი სჭირდება ხითხურობის ადგილობრივი უნარ-ჩვევებისა და ტრადიციების გამოყენება, რაც არამატერიალური კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია და მემკვიდრეობის ინდუსტრიის განვითარებას შეუწყობს ხელს. მეორე მხრივ, არასწორი განვითარების შემთხვევაში, რეალურია ამ ტრადიციული საცხოვრისის დაკარგვის საფრთხე, რაც მნიშვნელოვნად შეასუსტებს რეგიონის მდგრადი განვითარების რესურსებს. რეგიონებში გადამწყვეტი როლი აქვს მემკვიდრეობის მთლიანობის დაცვას და განვითარებას, რაც ტერიტორიულ მიდგომასაც გულისხმობს.

რეგიონების განვითარების სტრატეგიაში მკაფიოდ უნდა იყოს ინტეგრირებული ამ რეგიონისთვის სპეციფიკური მემკვიდრეობის სპეციფიკური ფასეულობანი და კონსერვაციის პრინციპები. ამისათვის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ამ კონკრეტული რეგიონისთვის საჭირო კვლევების, რეგლამენტებისა და კონსერვაციის პრინციპების შემუშავება.

კულტურული მემკვიდრეობა, როგორც გარემოს დაცვის პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი

საქართველო კულტურული და ისტორიული ლანდშაფტების ქვეყანაა. მემკვიდრეობის გარემოს ფართო კონტექსტში შესწავლა და კონსერვაცია მისი სიცოცხლისუნარიანობის დაცვის ერთადე-რთი საშუალებაა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო განსაზღვრავს გარემოს დაცვის პოლიტიკას საქართველოში. „საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა (2011-2012)“ წარმოადგენს „მწვავე პრობლემების გადაჭრისა და საქართველოს ბუნებრივი რესურსების დაცვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ეკონომიკურად მომგებიანი ღონისძიებების განხორციელების გზით“. პროგრამა ფართოა და იძლევა გარემოსდაცვითი პოლიტიკის ანალიზს. დოკუმენტში მნიშვნელოვან გამოწვევად არის აღიარებული, რომ „გარემოს დაცვასა და ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული საკითხები არასაკმარისად არის ასახული ქვეყნის პრიორიტეტების განმსაზღვრელ სხვადასხვა სტრატეგიულ დოკუმენტებში. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით შემუშავებული ისეთი დოკუმენტების ნაკლებობის გამო, რომლებშიც გაანალიზებულია გარემოსდაცვითი პრობლემები და დასახულია მათი გადაჭრის გზები, სუსტია საერთო ხედვა სამომავლო საქმიანობების შესახებ ამ სფეროში“. თავის მხრივ, დოკუმენტში კულტურულ მემკვიდრეობაზე ინფორმაცია შემოიფარგლება იმით, რომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ძეგლების კონსერვაციაზე პასუხისმგებელი ორგანოა.

საქართველოს დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტო ახორციელებს სახელმწიფო ნაკრძალების, ეროვნული პარკების, ბუნების ძეგლების, ბიოსფერული რეზერვატების, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების და ჭარბტენიანი ტერიტორიების სისტემების მართვას. მათ შორის დაცულ ლანდშაფტებს, სადაც როგორც წესი, გვხვდება კულტურული ლანდშაფტები.

გარემოსდაცვითი კანონმდებლობა ითვალისწინებს დაცული ტერიტორიების ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა, დაცული ლანდშაფტი (რომელიც შეიძლება მოიცავდეს კულტურულ და ისტორიულ ლანდშაფტებს), მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი და იცნობს მენეჯმენტის გეგმის ცნებას. ეროვნული პარკებისა და დაცული ტერიტორიების უმრავლესობას აქვთ მენეჯმენტის გეგმები. აღსანიშნავია, რომ ამ გეგმებში არ არის ინტეგრირებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის რეგლამენტები. ამის მიზეზი ძირითადად მემკვიდრეობის დარგში სპეციფიკური რეგლამენტების არარსებობაა, მაგრამ გარკვეულწილად შეიძლება უწყებათაშორისი კოორდინაციის ნაკლებობადაც განვიხილოთ.

თუშეთის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმა ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით დამუშავდა და ამჟამად გადის დამტკიცების პროცესს. ეს უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია, ვინაიდან იგი ითვალისწინებს, რომ დაცული ლანდშაფტის მართვა გადაეცეს ადგილობრივ ახმეტის მუნიციპილიტეტს. გეგმა ყოვლისმომცველია, მრავალსახოვან მახასიათებლებთან ერთად სათანადო ყურადღებას აქცევს იმ ფასეულობებს, რაც განაპირობებს თუშეთის უნიკალურობას და მის კულტურულ და ბუნებრივ ფასეულობებს – „ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა.“

მენეჯმენტის გეგმის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია საკონსერვაციო ამოცანები და ღონისძიებები, სადაც ასევე გათვალისწინებულია მემკვიდრეობის საკითხები: იდენტიფიცირებულია ისტორიულ-კულტურული ზონა, რისკები, რომელიც ტრადიცულ დასახლებებს ეხება, მაგრამ ბუნებრივი

რესურსებისა და ტრადიციული საქმიანობის საკითხებისგან განსხვავებით, რომელთა დაცვისა და კონსერვაციის საკითხები დეტალურად არის განხილული, გეგმა ვერ გვთავაზობს უძრავი მემკვიდრეობის კლასიფიკაციასა და მათი დაცვის პრინციპებს. ამის მიზეზი ისევ ის არის, რომ ასეთი რეგლამენტი მემკვიდრეობის კუთხით დამუშავებული არ არის. შესაბამისად დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმის გამართული სტრუქტურა მხოლოდ ზოგადია, კანონში არსებული ინსტრუმენტებით შემოიფარგლება.

სასიცოცხლოდ აუცილებელია ამ ორ სექტორს შორის თანამშრომლობის გააქტიურება. სასურველია, დაიგეგმოს და განხორციელდეს საქართველოს კულტურული ლანდშაფტების შესწავლის, იდენტიფიკაციის და ინტერპრეტაციის ერთობლივი პროგრამა, რათა მაქსიმალურად იქნას გამოვლენილი ქვეყნის ეს პოტენციალი.

პირველი ეტაპი ამ თანამშრომლობისა შეიძლება იყოს უკვე გამართული მენეჯმენტის სისტემის მქონე კულტურული ლანდშაფტებისთვის მემკვიდრეობის დაცვის რეგლამენტების დამუშავება და მათი ინტეგრაცია დაცული ტერიტორიების მართვის გეგმებში. ამის გარეშე ტურიზმის განვითარებამ შეიძლება უდიდესი ზიანი მიაყენოს ამ დაცულ ლანდშაფტებს.

კულტურულ და ბუნებრივ ღირებულებებს შორის კავშირის აღდგენა-გაძლიერება საქართველოს მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკის გაცხადებულ წამყვან ხაზს უნდა წარმოადგენდეს.

კულტურული მემკვიდრეობა და განათლება

კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს კვალიფიციური პროფესიონალი კადრების ნაკლებობა.

ეს გამოწვეულია იმ უმაღლესი საგანმანათლებლო და პროფესიული განათლების დაწესებულებების ნაკლებობით, რომლებიც სთავაზობენ ახალგაზრდებს ცოდნის მიღებას მემკვიდრეობის კონსერვაციისა და მართვისათვის აუცილებელ სხვადასხვა დისციპლინაში.

უმაღლესი განათლება

დღეისათვის კულტურული მემკვიდრეობის სფეროში განათლების მიღება შესაძლებელია საქართველოს შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში:

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია²⁰ – რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დეპარტამენტი, რომელსაც აქვს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის დონეები. ბაკალავრიატის დონის კურსები მოიცავს ხელოვნების ისტორიას, კულტუროლოგიას, არქიტექტურის რესტავრაციას, სახვითი ხელოვნების ნიმუშების რესტავრაციას. მაგისტრატურის დონე მოიცავს არქიტექტურის რესტავრაციას, არქეოლოგიური ნიმუშების რესტავრაციას (მინა, კერამიკა, ლითონი), ხატების რესტავრაციას, ფერწერის რესტავრაციას, მონუმენტური ხელოვნების ნიმუშების რესტავრაციას. არის ასევე სადოქტორო პროგრამა მემკვიდრეობის კონსერვაციაში. რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დეპარტამენტის მლიერ მხარეს წარმოადგენს სტუდენტების ჩართულობა საქართველოში მიმდინარე საერთაშორისო საკო-

²⁰ www.art.edu.ge

ნსერვაციო პროექტებში. აქ მათ საშუალება ეძლევათ წამყვანი საერთაშორისო კონსერვაციის ექსპერტებისგან მიღონ და გაიზიარონ სპეციფიკური ინფორმაცია და უნარ-ჩვევები. დეპარტამენტი სააგენტოსა და ლონდონის კურტოს ინსტიტუტის კედლის მხატვრობის დეპარტამენტთან ერთად სამმხრივი შეთანხმების (2012) მონაწილეა ვარძიის კომპლექსის ღვთისმშობლის ტაძრის კედლის მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოების პროექტში; სტუდენტები ჩართულნი არიან საქართველოში აშშ საელჩოს დაფინანსებით მიმდინარე ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის პროექტში – გელათის მონასტრის რეაბილიტაცია, კერძოდ, კედლის მხატვრობისა და ქვის საკონსერვაციო სამუშაოებში, სადაც მონაწილეობენ ლუგანოს უნივერსიტეტისა (იტალია, შვეიცარია) და „Artelab S.r.l.“ (რომი) საერთაშორისო ექსპერტები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში²¹ შესაძლებელია სამაგისტრო კურსის გავლა სახელწოდებით კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა, რომელიც შეიცავს 3 ძირითად მოდულს: ძველი ხელოვნება, ახალი და თანამედროვე ხელოვნება და მუზეუმმცოდნეობა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში²² შესაძლებელია ბაკალავრიატის კურსის გავლა კულტურის მენეჯმენტში, შემოთავაზებულია აგრეთვე უმაღლესი საგანმანათლებლო პროფესიული სწავლების კურსი – ძეგლთა დაცვა და რეაბილიტაცია (არქიტექტურული მემკვიდრეობა, ხატები, ქვის, ხის და ლითონის ნივთები) და მაგისტრატურის კურსი – ხელოვნების თეორიისა და პრაქტიკის კვლევა და კულტურის მენეჯმენტი.

თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი²³ გვთავაზობს ხელოვნების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს ხელოვნების ისტორიაში, მასობრივ კომუნიკაციებში, ხელოვნების მენეჯმენტში, კულტურულ ტურიზმში, თეატრის კვლევაში, კინოს კვლევასა და ტელემედიაში – თეორია და პრაქტიკა. იგი აგრეთვე გვთავაზობს სადოქტორო პროგრამებს მედიის კვლევაში, ხელოვნების ისტორიასა და ხელოვნების მენეჯმენტში.

GIPA – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი²⁴ გვთავაზობს სასერტიფიკატო პროგრამას კულტურის პოლიტიკაში, რომელიც შედგება შემდეგი ძირითადი თემებისაგან: ურბანული კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი, სამუზეუმო მენეჯმენტი, კინოს მენეჯმენტი და არამატერიალური კულტურის მენეჯმენტი.

აღნიშნული კურსების ჩამონათვალი ცხადყოფს, რომ პროფესიული მომზადების პროგრამები უფრო შიდა სექტორული და ფრაგმენტულია. საგანმანათლებლო სისტემა საქართველოში რეფორმირების პროცესშია. ჯერჯერობით არსებული სასწავლო პროგრამებიც ჩამოყალიბებულია, ვინაიდან ეროვნულ დონეზე სპეციფიკური კვლევებისა და გამოცემების სიმწირეა. ამ რეალობაში გამოსავალია საერთაშორისო დოქტორინების გამოყენება, მაგრამ ამ დოქტორინების უმრავლესობა არ არის თარგმნილი. ჯერჯერობით ეს სამეცნიერო კერები ვერ ახერხებს საერთაშორისო სტანდარტების კვლევითი ცენტრების ფუნქციის შესრულებას. უპირველეს პრიორიტეტს მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ცოდნის დონის ამაღლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების კუთხით წარმოადგენს უმაღლესი სასწავლებლის დონეზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მენეჯმენტის მიმართულებით სასწავლო კურსის ჩამოყალიბება. აუცილებელი

²¹ www.tsu.edu.ge

²² http://www.iliauni.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1035

²³ http://www.tafu.edu.ge/ge_xelovneba_about.php?menu=xelovneba

²⁴ <http://www.gipa.ge>

ლია კვლევითი ცენტრების გაძლიერება და როგორც ინტერდისციპლინარული, ისე მრავალდისციპლინარული კვლევების დაწერგვა.

პროფესიული განათლება – ტრადიციული ხელოსნობის, რეწვის ავთენტიკურობა

მემკვიდრეობის დაცვის სფეროში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტრადიციული ცოდნის, გამოცდილების შესწავლას, გამოყენებას და განვითარებას, რაც ხაზს უსვამს მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის მთლიანობას. საგანმანათლებლო პოლიტიკაში აუცილებელია ინტეგრირებული სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელიც ასახავს ამ მთლიანობას.

საქართველოში ძალიან მწირია კონსერვაციის ტრადიციული მასალების და უნარ-ჩვევების შესწავლის კერები. ასეთი კვლევები ძირითადად პილოტური პროექტის ფარგლებში ხორციელდება და არ აისახება რაიმე საწვრთნელ პროგრამებში, ვინაიდან ასეთი პროგრამების ციკლი არ არსებობს. ეს გარემოება უარყოფითად მოქმედებს მემკვიდრეობის დაცვის პრაქტიკის ხარისხე და მის ავთენტიკურობაზე. გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატის მხარდაჭერით მიმდინარეობს ხითხურობის ხელოსნების რესტავრაციის პრინციპებსა და მეთოდოლოგიაში წვრთნის პროგრამა. ამ პროგრამის შედეგად წელს გამოიცემა სპეციალური სახელმძღვანელო ხის ხალხური ნაგებობების რესტავრაციისათვის, რაც პირველი მცდელობაა ამ მიმართულებით.

2014 წლის აპრილში პროექტის – **რეგიონული თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისთვის**, ფარგლებში ჩატარდა რეგიონული სემინარი (Workshop) თემაზე: „ტრადიციული ცოდნის გამოყენება მემკვიდრეობის კონსერვაციის ინდუსტრიაში“. სემინარის დასკვნით ნაწილში დამუშავდა რეგიონული სემინარების პროგრამის პროექტი ტრადიციული მასალებისა და ხელოსნობის განვითარებასა და გამოყენებაზე, რომელიც რეგულარული უნდა გახდეს.

მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტრადიციული ცოდნის დაცვასა და გამოყენებას. მაგალითად, ნორვეგიის პარლამენტის სტრატეგიული დოკუმენტი – „**ავხოვრება ჩვენს მემკვიდრეობასთან ერთად**“, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამ თემას, პრაქტიკაში კი ახორციელებს საგრანტო პროგრამას, რომლის მეშვეობით მაღალი კვალიფიკაციის ხელოსანს შეუძლია 3 წელი მიუმღვნას ტრადიციული სამშენებლო ტექნიკისა და მასალების შესწავლას. იაპონიის კულტურული მემკვიდრეობის პოლიტიკა არამატერიალური მემკვიდრეობის რეგისტრაციის სისტემაში ითვალისწინებს სპეციფიკური ცოდნის მატარებელი ხელოსნებისა და ხელოსანთა გაერთიანებების რეგისტრაციას, რათა ხელი შეუწყოს მათ მოღვაწეობასა და მათი მეშვეობით მომავალი თაობებისთვის ცოდნის გადაცემას.

დოკუმენტი – „**ტრადიციული რეწვა საქართველოში, სექტორის კომპლექსური კვლევა და სტრატეგია**“²⁵ განიხილავს იუნესკოს ინიციატივას „ადამიანი – ცოცხალი საგანმანათლებლო მემკვიდრეობის მატარებელი ხელოსნების ეროვნული რეგისტრაციის სისტემების შესახებ და დასაბუთებულ რეკომენდაციას იძლევა ამ პრაქტიკის გამოყენებასთან დაკავშირებით საქართველოში.

²⁵ ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი, 2012, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა: შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის გაძლიერება აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში: ტრადიციული რეწვა – ერთანი პლატფორმა განვითარებისთვის“. <http://www.gaccgeorgia.org/Crafts/GACC%20Crafts%20Sector%20StudyGEO.pdf>

მნიშვნელოვანია სხვადასხვა დარგის რესტავრატორებისა და ძეგლთა დაცვის სფეროში გამოყენებადი ხელოსნობის დარგების შემსწავლელი პროფესიული და/ან სასერტიფიკატო სისტემატიური საწვრთნელი პროგრამების ამოქმედება.

საზოგადოების გათვითცნობიერება

მემკვიდრეობის სფეროში არსებულ ყველა გამოწვევას მივყავართ ძირეულ პრობლემამდე – მემკვიდრეობის ღირებულებების გაუთვიცნობიერებულობა. საქართველოს მდიდარი და მრავალუროვანი კულტურული მემკვიდრეობის ეფექტურად შენარჩუნებისათვის აუცილებელია, ფართო საზოგადოება იყოს ინფორმირებული და ესმოდეს მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები. კულტურული მემკვიდრეობის პოლიტიკური, აღმასრულებელი და პროფესიული ინსტიტუციების ერთ-ერთ ფუნქციად უნდა იქცეს ფართო საზოგადოებაში ეროვნული მემკვიდრეობის შესახებ ცოდნის გავრცელება და მის მიმართ ინტერესის გაღვივება. მნიშვნელოვანია, რომ ფართო საზოგადოებისათვის სხვადასხვა მედიის გამოყენებით ხდებოდეს მემკვიდრეობის კონსერვაციის სარგებლისა და მემკვიდრეობის წინაშე არსებული საფრთხეების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო ახორციელებს რამდენიმე წარმატებულ საგანმანათლებლო პროგრამას²⁶, ესენია: საბავშვო არქეოლოგია, კულტურული მემკვიდრეობა ბავშვებს და უძველეს მეთუნეთა კვალად.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო ცენტრი ამზადებს სპეციალურ შემეცნებით ლიტერატურას და განსხვავებული ფორმატის საგანმანათლებლო პროგრამებს²⁷.

გრძელვადიანი და საუკეთესო შედეგის მისაღწევად, საჭიროა მემკვიდრეობის ფასეულობებისა და დაცვის საკითხები დაინერგოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროგრამებში. ამისათვის კი პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს აღნიშნული საკითხების შეტანა ეროვნულ სასწავლო გეგმაში და მათი ასახვა საგნობრივ გეგმებში, რასაც უნდა მოჰყვეს პედაგოგების მომზადება. ამ კუთხით გადადგმულ პირველ ნაბიჯს წარმოადგენს ევროკავშირის აღმოსავლეთი პარტნიორობის კულტურის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის „რეგიონული თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისათვის“ ერთ-ერთი აქტივობა, რომელიც გულისხმობდა იუნესკოსა და იკრომის მიერ შემუშავებული სკოლის პედაგოგების სახელმძღვანელოს „კულტურული მემკვიდრეობისა და ისტორიული ქალაქების დაცვა“²⁸ ქართული ვერსიის შექმნას. აღნიშნული სახელმძღვანელო გამოიცა და ხდება მათი დარიგება საქართველოს ყველა საშუალო სკოლაში. მომდევნო ეტაპზე იგეგმება პედაგოგების მომზადება სახელმძღვანელოს მოხმარებაში და მისი პილოტირება სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურებზე.

აუცილებელია, კულტურული მემკვიდრეობის საკითხების ინტეგრაცია განათლების პოლიტიკის დოკუმენტებში, რათა დაინერგოს ამ საკითხების შეტანა, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამებში.

²⁶ <http://www.heritagesites.ge/?lang=geo&page=209>

²⁷ http://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=35

²⁸ http://rcchd.icomos.org.ge/img/multimedia/pub_1403596509723149.pdf

მედიის როლი და მემკვიდრეობის სექტორის მედიასტრატეგია²⁹

მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკა უნდა აღიარებდეს მედიის გადაწყვეტილ როლს საზოგადოების გათვითცნობიერების საკითხებში, რაზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მემკვიდრეობის სფერო. მემკვიდრეობა, როგორც „სათუთი ღირებულება“, მალე დაკარგავს მხარდაჭერას, თუ მისი ცოდნა და აღიარება ფართო საზოგადოებასა და გადაწყვეტილების მიმღებთა შორის საკმარისი არ არის. ამის მიღწევა მხოლოდ განათლების, ინფორმაციის მასობრივი საშუალებებისა და ახალი მედიის ერთობლივი გამოყენებით შეიძლება.

მემკვიდრეობის საკითხები იშვიათად ხვდება პირველ გვერდზე, ვინაიდან არ არის კონფლიქტზე ორიენტირებული. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ მედია პოზიტიურად ეკიდება მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ ისტორიებსა და კარგ მაგალითებს. მემკვიდრეობა ხშირად ცხოველხატულ მასალას იძლევა, რაც მიმზიდველია ჟურნალებისა და ტელევიზიისთვის.

ამ შესაძლებლობების გამოსაყენებლად საჭიროა, კონკრეტული მედიასტრატეგია, რომლის მიზანია, მემკვიდრეობის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკითხები მედიის მასობრივ საშუალებებს მიმზიდველი ფორმით მიეწოდებოდეს. ამისთვის კონკრეტული ცოდნა და პოზიტიური სიახლეებია საჭირო, მაგალითად, ისტორიული ნაგებობის მეპატრონის მომხმარებლური პოზიცია ერთ-ერთი სწორი სტრატეგიაა.

ახალი მედია, აქტიური ვებ-გვერდები და „ფეისბუქი“ საკმაოდ ეფექტური და ეკონომიური გზაა დარგით დაინტერესებულ ჯგუფებში ინფორმაციის გავრცელებისთვის. საქართველოს ინტერნეტსივრცებში უკვე შეინიშნება მემკვიდრეობით დაინტერესებული ჯგუფების მომრავლება და გააქტიურება. ინტერნეტსივრცის გაზრდის კვალობაზე ეს ქსელი უფრო მძლავრ ინსტრუმენტად იქცევა.

ამბიციური მედიასტრატეგია მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკის ნაწილი უნდა გახდეს როგორც საჯარო სექტორში, ისე არასამთავრობო დონეზე.

²⁹ Morten Stige, 2014, Cultural Heritage Management, City of Oslo, 2014, Mission Report within RCCHD Project

საზოგადოების მონაწილეობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და მართვაში

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი (2014) ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის განხორციელებისა (თავი11. მუხლი25) და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობის მიზნით მუნიციპალიტეტის ორგანოებს ავალდებულებს, შექმნან პირობები მოქალაქეთა ჩართულობისთვის და ადგენს წესებს. რამდენად უზრუნველყოფს ეს კოდექსი საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებული ჩართულობის 4 დონიდან (ინფორმირება (დაბალი დონე), კონსულტაციები, ჩართულობა, გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობა (მაღალი)) ერთ-ერთს მაინც, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მუნიციპალურ სამსახურებსა და საზოგადოების აქტიურობაზე. გასულ წლებში იმატა საზოგადოების პროცესში მემკვიდრეობის სფეროში დახურულ სისტემაში მიღებული გადაწყვეტილებების გამო.

2008 წელს საქართველო შეუერთდა ევროპის საბჭოს საზოგადოებისთვის კულტურული მემკვიდრეობის ფასულობათა შესახებ ჩარჩო კონვენციას (ფაროს კონვენცია), 2005. ფაროს კონვენცია კულტურული მემკვიდრეობის დეფინიციას ახლებურად, სოციალურ კონტექსტში იძლევა:

„წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული რესურსების ჯგუფი, რომელსაც ხალხი, მფლობელობისგან დამოუკიდებლად, განსაზღვრავს, როგორც საკუთარი, სისტემატიურად განვითარებადი ფასულობების, რწმენის, წარმოდგენების, ცოდნისა და ტრადიციების ანარეკლსა და გამოხატულებას. ეს მოიცავს, ხანგრძლივი დროის მანძილზე, ხალხისა და ადგილის ურთიერთობის შედეგად წარმოქმნილი გარემოს ყველა ასპექტს“.

კონვენცია განსაზღვრავს მემკვიდრეობით დაინტერესებულ საზოგადოებას:

„მემკვიდრეობით დაინტერესებული საზოგადოება შედგება ადამიანებისაგან, ვისთვისაც ფასულია კულტურული მემკვიდრეობის სპეციფიკური ასპექტები, რომელიც მათ სურთ, სამოქალაქო აქტივობის ფარგლებში, შეინარჩუნონ და გადასცენ მომავალ თაობას“. ფაროს კონვენცია ავალდებულებს წევრ ქვეყნებს, აღიარონ როგორც დაინტერესებული ინდივიდების, ისე საზოგადოების უფლება, იყვნენ ჩართული მემკვიდრეობის დაცვასა და განვითარებაში და უზრუნველყონ ამ პროცესისთვის აუცილებელი პილიტიკური და საკანონმდებლო გარემო, რათა კულტურულმა მემკვიდრეობამ ხელი შეუწყოს მშვიდობიანი, დემოკრატიული საზოგადოების შექმნას, სიცოცხლისუნარიან განვითარების პროცესს და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას. საქართველოში მემკვიდრეობის ჯგუფების გააქტიურების პროცესი და სამოქალაქო მოძრაობის ჩამოყალიბების ტენდენცია უკვე სახეზეა. სულ უფრო აქტიურად გამოდიან ასპარეზზე ადვოკატირების, ასევე საზოგადოების გათვითცნობიერებისთვის მოქმედი ორგანიზაციები თუ სპონტანურად შექმნილი მოძრაობები. „თბილისის ჰამერის“¹ აქტიური მოღვაწეობა თბილისის ისტორიული ნაწილის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისთვის მნიშვნელოვანი გამოცდილებაა. 2012-2013 წლებში გუდიაშვილის მოედნის გადასარჩენად ჩატარებული აქციები, რომელსაც მრავალი ინდივიდი და ორგანიზაცია შეუერთდა, შემოქმედებითი მიდგომითა და გამოხატვის მრავალფეროვნებით გამოიჩეოდა და ანგარიშგასაწევ ძალად იქცა თბილისის საჯარო სამსახურებისთვის. რეგიონებში მნიშვნელოვან საზოგადოების გათვითცნობიერების პროგრამებს ახორციელებს სტუდენტური ორგანიზაცია „კულტურუ-

¹ <https://www.facebook.com/TiflisHamkari>

ლი მემკვიდრეობის არასამთავრობო მონიტორინგი². ბათუმის ისტორიულ ბულვარში უხეშმა ჩარე-ვამ ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება გამოიწვია აქციების ციკლით – „დაგე-ლოდები ბათუმის ბულვარში“.

უპრეცედენტო საზოგადოებრივი გააქტიურება² მოჰყვა 2013 წელს საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ძეგლის, რომელსაც საერთაშორისო და ადგილობრივ მეცნი-ერთა დიდი ნაწილი უძველეს პრეისტორიულ ოქროს მაღაროდ მიიჩნევს, გარშემო განვითარებულ მოვლენებს, როცა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, მთავრობამ, ეკონომიკური მიზა-ნშეწონილობის არგუმენტით, ძეგლის სტატუსი მოუქსნა ობიექტს და კერძო კომპანიას წება დართო სამთო მომპოვებელი სამუშაოების წარმოებაზე. საყდრისის არქეოლოგიური ძეგლის დაცვის საზო-გადოებრივ კამპანიაში გაერთიანდნენ განსხვავებული სექტორის არასამთავრობო ორგანიზაციები, შემოქმედებითი ჯგუფები და ინდივიდები, კერძოდ: ძეგლის მეგობარი, მწვანე მუშტი, მწვანე ალ-ტერნატივა, კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი, საია, დავითიანი, ყველა ძეგლთა-დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია და მოქალაქეები. გარდა პეტიციებისა, საპროტესტო აქციე-ბისა და მედიააქტიურობისა, დავა სასამართლო სივრცეში გაგრძელდა³, რის შედეგადაც სამუშაოე-ბი დღემდე შეჩერებულია. ეს პროცესი უცილობლად გაგრძელდება მომავალში და მისი წარმატება პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის დემოკრატიზაციისა და ადამიანის უფლებების დაცვის განვითა-რებას საქართველოში.

მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო სექტორის გააქტიურება და ინტერესი კულტურისა და ძეგლ-თა დაცვის სამინისტრომ გამოიყენოს მემკვიდრეობის სექტორის პოზიციების გასამყარებლად პოლიტიკურ დონეზე და ითანამშრომლოს სამოქალაქო სექტორთან.

აუცილებელია, გაჩნდეს პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც დაინტერესებული სამოქალაქო სა-ზოგადოების ნაწილი, ადვოკატირების ჯგუფები, პროფესიული ორგანიზაციები და ყველა დაი-ნტერესებული მხარე შეძლებს გამოხატოს თავისი მოსაზრება კულტურის პოლიტიკასთან დაკა-ვშირებით⁴. ხელისუფლებას შეუძლია და უნდა შეუწყოს ხელი კულტურითა და მემკვიდრეობ-ით დაინტერესებულ სამოქალაქო სექტორთან დიალოგის სივრცის შექმნას.

ფართო საზოგადოების მონაწილეობასა და ჩართულობას მემკვიდრეობის დაცვის საქმეში ხელი უნ-და შეეწყოს ადგილობრივი მემკვიდრეობის ღონისძიებებისა და სათემო პროექტების დაფინანსებით, მემკვიდრეობის საზოგადოებების შექმნის წახალისებით, ისეთი ხარისხიანი მედიაპროგრამების შექმ-ნით, რომელიც მიმართულია საზოგადოების ცნობიერების გაზრდისკენ და ხელს შეუწყობს საზოგა-დოებაში მემკვიდრეობის დაცვისა და მართვისადმი კრიტიკულ მიდგომას.

მემკვიდრეობის დაცვის სისტემა უნდა გახდეს ღია და ხელმისაწვდომი, უზრუნველყოს საზოგა-დოების მონაწილეობა და ჩართულობა მემკვიდრეობის დაცვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებ-ის პროცესში. ამ კუთხით მნიშვნელოვანია, მოხდეს ევროპის საბჭოს ფაროს კონვენციის იმპლემე-ნტაციისათვის კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავება და შესრულება.

² <http://www.bbc.com/news/world-europe-27499882>

<http://iberiana.wordpress.com/iberiana/sakdrisi/>

<http://www.sakdrissi.info/#>

³ საია-ს და მწვანე ალტერნატივას ინიცირებით.

⁴ Damien Helly, 2014, Georgia Country Report, , Preparatory action, “Culture in the EU’s External Relations”

საერთაშორისო ურთიერთობები

საქართველომ 2014 წელს გააფორმა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც კულტურის სფეროში თანამშრომლობასაც ითვალისწინებს (თავი 17). ხელშეკრულების მიხედვით, „მუხლი 326: მხარეთა შორის თანამშრომლობა ხელს შეუწყობს კულტურათაშორის დიალოგს, ევროკავშირისა და საქართველოს კულტურის სფეროსა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გზით“, მხარეები კი ითანამშრომლებენ შემდეგ მირითად სფეროებში, მუხლი 363:

- (a) კულტურის სფეროში თანამშრომლობა და კულტურული გაცვლები;
- (b) ხელოვნებისა და ხელოვანთა მობილურობა და კულტურის სფეროს ინსტიტუციური გაძლიერება;
- (c) კულტურათაშორისი დიალოგი;
- (d) კულტურის პოლიტიკის შესახებ დიალოგი;
- (e) თანამშრომლობა საერთაშორისო ფორუმების ფარგლებში, როგორებიცაა, იუნესკო და ევროპის საბჭო, რათა, *inter alia*, ხელი შეუწყოს კულტურულ მრავალფეროვნებას, შენარჩუნდეს და სათანადოდ განვითარდეს კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ღირებულებანი.

საქართველო კულტურის სფეროში მიერთებულია შემდეგ საერთაშორისო კონვენციებს:

- ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებების შესახებ, (2005)
- ევროპული კონვენცია არქეოლოგიური ძეგლების დაცვის შესახებ, (განახლებული 1992)
- ევროპის საბჭოს კონვენცია ევროპული არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ; (1985)
- იუნესკოს კონვენცია „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“, (2005)
- იუნესკოს კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, (2003)
- იუნესკოს კონვენცია მსოფლიო მემკვიდრეობის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის შესახებ, (1972)
- იუნესკოს ჰავაზის კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ, (1954)¹

მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ამჟამად სააგენტო მუშაობს საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის სახელმწიფო პროგრამაზე, რომელიც ეფუძნება იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის რეკომენდაციას (36 სესია, სანკტ-პეტერბურგი, 2012) მსოფლიო მემკვიდრეობის სახელმწიფო პროგრამის შემუშავების თაობაზე. „თვინინგის“ პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის კანონზე მუშაობა.

¹ სრული სია იხ. პროექტის ინტერნეტ-რესურსებში

საქართველო დღემდე ვერ ახერხებს, დაძლიოს მემკვიდრეობისა და ეკონომიკის ერთმანეთთან შეუთავსებლობის კომპლექსი და „...სრულად გამოიყენოს კულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკური პოტენციალი, კონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას გაითვალისწინოს კულტურული მემკვიდრეობის სპეციფიკური ხასიათი და ინტერესები და უზრუნველყოს, რომ აღნიშნულმა პოლიტიკამ პატივი სცეს კულტურული მემკვიდრეობის მთლიანობას მისი ღირებულებების შეღახვის გარეშე“².

ევროკომისია და საქართველოს პარტნიორი ქვეყნები მხარს უჭერენ კულტურის სფეროს განვითარებასა და მის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებას.

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინსტრუმენტები – „ინვესტირება ხალხში“, „პარტნიორობის პროგრამა“ – Twinning Programme, აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამა აქტიურ ფაზაშია საქართველოში და შესაბამისად, მრავალი პროექტი ხორციელდება კულტურის სფეროში.

ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატსა და სააგენტოს შორის ორმხრივი შეთანხმების ფარგლებში კომლექსური პროგრამა ხორციელდება მემკვიდრეობის მართვის გასაუმჯობესებლად.

ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით მიმდინარეობს ურბანული მემკვიდრეობის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი ფაქტორის, მართვის განვითარების პილოტური პროექტები.

საქართველოს პარტნიორი ქვეყნების საელჩოები ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს კულტურის სფეროში. ბრიტანეთის საბჭო, გოეთეს ინსტიტუტი და დიუმას ცენტრი დიდად განსაზღვრავენ კულტურული პროექტების ხარისხს საქართველოში.

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი, საქართველოში აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით³, ახორციელებს გელათის მონასტრის რეაბილიტაციის გრძელვადიან პროგრამას.⁴

საქართველოში მემკვიდრეობის სექტორის განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იქნება ამ ფართომასშტაბიანი თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარე პროგრამების შედეგები ინტეგრირებული მემკვიდრეობის დაცვის სექტორის ეროვნულ პოლიტიკაში და სტრატეგიულ ამოცანებში. საჭიროა მოიძებნოს ამ რესურსის სრულფასოვნად გამოყენების უფრო ეფექტური მექანიზმი. მნიშვნელოვანია, საერთაშორისო ორგანიზაციებმა და პარტნიორმა ქვეყნებმა გააძლიერონ მემკვიდრეობის სექტორში გაწეული დახმარებისა და თანამშრომლობის შედეგების, საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი.

საქართველოს მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკის ამოცანაა, განვითაროს და მაქსიმალურად გამოიყენოს საერთაშორისო თანამშრომლობა წარმატებული გამოცდილების გაზიარებისთვის და მემკვიდრეობის დაცვის სფეროში უპირატესად ფართო 21-ე საუკუნის ხედვის ჩამოყალიბებისთვის.

² ფაროს კონვენცია, 2005.

³ ამერიკის ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი

⁴ <http://www.gaccgeorgia.org/CultHeritage/Gelatigeo.htm>

გამოყენებული მასალა

1. პროექტის რესურსები

სტატიები

- დიმიტრი თუმანიშვილი, მეგლთა კატეგორიების საკითხისათვის, 2014, Heritage Conservation Regional Network Journal, N-5
- ნინო ინაიშვილი, ბათუმის ისტორიული ბულვარის განვითარება ახალი რეალობა და გამოწვევები საზოგადოებისათვის, 2012, Heritage Conservation Regional Network Journal, N-1
- სილვიო კალვი, რა მომავალი აქვს სვანეთს, 2012, Heritage Conservation Regional Network Journal, N-1
- ანჯელა უილერი, ამერიკული თვალსაზრისი თბილისის არქიტექტურული მემკვიდრეობის მართვის თაობაზე, 2012, Heritage Conservation Regional Network Journal, N-2
- მ. სურამელაშვილი, 2012, ისტორიული არქიტექტურის მეტამორფოზა, Heritage Conservation Regional Network Journal, N-2
- მ. სურამელაშვილი, ახალციხის რაბათი – ისტორიული არქიტექტურის მეტამორფოზა, 2012,
- ინგა ქარაი, სამუზეუმო პოლიტიკის პრობლემები და საკითხები საქართველოში, 2012, Heritage Conservation Regional Network Journal, N-1
- ც. ჩაჩენაშვილი, კულტურული მემკვიდრეობა და ახალი რეალობა XXI საუკუნის დამდეგს, 2013, Heritage Conservation Regional Network Journal, N-3.
- ც. ჩაჩენაშვილი, ბათუმის რებილიტაცია, 2012.
- Олейник Елена, Состояние культурного наследия в странах Восточной Европы и бывшего СССР, 2013, Heritage Conservation Regional Network Journal, N-4
- Olena Oliynyk, Problems of Formulation of a National Policy on Cultural Heritage in Ukraine, 2012, Heritage Conservation Regional Network Journal, N-2.
- Valeria Suruceanu, Cultural Heritage Protection Policies in Moldova: between Reality and Necessity, 2012, Heritage Conservation Regional Network Journal, N-2.

კვლევები

- მ. სურამელაშვილი, 2012, თელავის რეაბილიტაციის შედეგების ანალიზი.
- ნ. ცინცაბაძე, 2012, თელავში, ბატონის ციხეზე განხორციელებული და მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს დაშვებული მეთოდოლოგიური შეცდომები და კანონდარღვევები.
- Aleksandra Czyżewska, The Cultural Heritage as a Part of Urban Policy, 2nd International Capacity Building Workshop – “Managing Cultural and Urban Landscapes”, 15-16 Novembe, 2012.
- Luisa De Marco, 2014. Mission Report within the RCCHD project
- ლუიზა დე მარკო, 2014. პროექტის ფარგლებში გახორციელებული მისიის ანგარიში.
- Morten Stige, 2014, Cultural Heritage Management, City of Oslo, 2014, Mission Report within RCCHD Project.
- Morten Stige, Cultural Heritage Management, City of Oslo, 2012, Mission Report within RCCHD Project.
- Per Morten Ekerhovd, Regional authorities and their responsibility for management of the cultural heritage in Norway, 1st International Capacity Building Workshop – “Heritage for Society”, 2012
- ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირის (ICOMOS საქართველო) განცხადება საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის დარგში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შესახებ, 2014.
- ICOMOS საქართველოს კომიტეტის საქართველოს კანონში “კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით, 2013

სემინარები, რეკომენდაციები

- „ტრადიციული ცოდნის გამოყენება მემკვიდრეობის რესტავრაციის ინდუსტრიაში“, 10-11 აპრილი, 2014
- აქციების გზამკვლევი - როგორ ვწარმოოთ ეფექტური კამპანიები ისტორიული შენობების დასაცავად. 15-16 ოქტომბერი, 2013.
- საერთაშორისო სემინარი, „განვითარება მემკვიდრეობის რეაბილიტაციის გზით“. 5-6 სექტემბერი, 2013.
- საერთაშორისო სემინარი - „პროექტის მართვა - დარგთაშორისი თანამშრომლობა“, 16-17 ივლისი, 2013.
- საერთაშორისო სემინარის - არქეოლოგიური ძეგლების დაცვა, ათენის აკრაპოლისის მაგალითი. 30-31 მაისი, 2013.
- საერთაშორისო სემინარი - კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკა. თბილისის 06-07 დეკემბერი, 2012
- საერთაშორისო სემინარი - კულტურული და ურბანული ლანშაფტების მართვა,
- 15-16 ნოემბერი, 2012.
- საერთაშორისო სემინარი „მემკვიდრეობა საზოგადოებისათვის“, 18-20, სექტემბერი, 2012.

2. ლიტერატურა

1. ი. ელიზბარაშვილი, მ. სურამელაშვილი, ც. ჩაჩხუნაშვილი, არქიტექტურის რეტავრაცია საქართველოში, 2012, ასოციაცია - საზოგადოება და კულტურული მემკვიდრეობა.
2. საზოგადოება და ისტორიული გარემო, საერთაშორისო კონფერენციის მასალები, 2012, ICOMOS საქართველო.
3. Guido Licciardi, Rana Amirtahmasebi, Editors, 2012, The Economics Of Uniqueness, Investing in Historic City Cores and Cultural Heritage Assets for Sustainable Development, The World Bank
4. Susan Macdonald and Caroline Cheong, The Role of Public-Private Partnerships and the Third Sector in Conserving Heritage Buildings, Sites, and Historic Urban Areas, 2014, The Getty Conservation Institute.
5. Randall Mason, University of Pennsylvania, Economics And Historic Preservation: A Guide And Review Of The Literature, 2005, Metropolitan Policy program.
6. Donavan D. Rypkema, 1998, The Economics of Historic Preservation. A community Leader's Guide, National Trust for Historic Preservation.
7. Donovan Rypkema and Caroline Cheong, Place Economics, Washington, DC and Randall Mason, PhD University of Pennsylvania School of Design, Historic Preservation Program, 2011. A Report to the Advisory Council on Historic Preservation.
8. D. ThrosbyInvestment in urban heritage. Economic impact of cultural project in FYR Macedonia and Georgia, 2012, World Bank.
9. Assessing the Values of Cultural Heritage, Research Report, Edited by Marta de la Torre, 2012, The Getty Conservation Institute, Los Angeles
10. The economics of architectural conservation, proceedings of a consultation at the King's Manor, IoAAS, The University of York
11. The Economic Impacts of Historic Preservation, 1997, Center For Urban Policy Research
12. Heritage and beyond, 2009, Council of Europe Publishing.
13. Measuring the Economics of Preservation: Recent Findings Prepared for the Advisory Council on Historic Preservation by Place Economics, June, 2011
14. The Power of Culture for Development, 2010, UNESCO
15. Valuing Places: Good Practice In Conservation Areas, 2013, English Heritage.
16. Г.Ф. Онуфриенко, Проблемы охраны культурного наследия ландшафтов, (на примере Польши)

3. დოკუმენტები, კვლევები, ანგარიშები

1. თუშეთის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმა, 2014.
2. ტრადიციული რეწვა საქართველოში. სექტორის კომპლექსური კვლევა და განვითარების სტრატეგია, 2013, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორების პროგრამა: შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის გაძლიერება აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში: ტრადიციული რეწვა - ერთიანი პლატფორმა განვითარებისთვის".
3. ა. ცინცაძე, 2013, თბილისის ქალაქებებითი კანონმდებლობის დახასიათება და ანალიზი, კვლევა დამუშავდა და საზოგადოება საქართველოს მხარდაჭერით, მოძრაობა "პარტიზანული მებადეობა თბილისის" მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში.
4. საბაზისო ანალიტიკური ანგარიში საქართველოს კულტურის დარგსა და კულტურის პოლიტიკაზე, 2013, აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამის რეგიონალური მონიტორინგის და სიმძლავრეთა შექმნის ჯგუფი (RMCBU), აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების კულტურის პოლიტიკის კვლევა და დიაგნოსტიკა.
5. საქართველოს მთავრობა, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020., 2013.
6. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის.
7. საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები, 2013.
8. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, თბილისში და ბათუმში განხორციელებული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის კონკრეტული მაგალითების იურიდიული ანალიზი, კორპასია ქლენტი, საადვოკატო ბიურო; ბოჭორიშვილი, მიქანაძე, პაპუაშვილი - ბიზნეს და იურიდიული კონსულტაცია; ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები; 2013
9. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2013 წ.
10. საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია
11. გარემოს დაცვის სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა (2011-2015), თბილისი, 2010
12. შემწყარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია, 2014

13. თბილისის ჰამქარი, კულტურული მემკვიდრეობის ნუსხის რევიზიის შედეგები, 2014, USAID Georgia.
14. თბილისის ჰამქარი, ურბანული მემკვიდრეობის დაცვის სამართლებრივი პრობლემები და სამართალდამრღვევები, 2013, საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში, USAID Georgia.
15. თბილისის ჰამქარი, ფიზიკური და იურიდიული პირების უფლება-მოვალეობები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში, 2012, ევროპის თანამშრომლობის ფონდი, Sida.
16. მწვანე აღტერნატივა, მადნეული კანონზე მაღლა, 2013, “ღია საზოგადოების ინსტიტუტი”.
17. საია, რეაბილიტაციის პროცესი ფასადს მიღმა (ბათუმის რეაბილიტაცია), 2014, თბილისი, “ღია საზოგადოების ინსტიტუტი”.
18. საია, საყდრისი-ყაჩაღიანი. კულტურული მემკვიდრეობიდან ოქროს თანამედროვე მოპოვებამდე, 2014, “ღია საზოგადოების ინსტიტუტი”.
19. საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი, ცენტრალური კავკასიონის გეგმარებითი რეგიონის მენეჯმენტის სახელმძღვანელო დოკუმენტი, 2006, ICOMOS საქართველო.
20. Alle Elbers, Legal and institutional framework in the Netherlands for preservation of the historic built environment, 2013, Tbilisi Presentation.
21. Damien Helly, 2014, Georgia Country Report, Preparatory action, “Culture in the EU's External Relations”, 2013-2014.
22. Ester van Steekelenburg, 2014, Economics Of Heritage, Tbilisi Workshop Presentation
23. G. Toubekis, 2014, Special Session: case Study – Economy vs. Culture – Cae of the Sakdrisi Gold Mine, the world oldest known gold mine located in Georgia, Report on Euro East Culture Workshop of RMCBU, 29-31 May Kachreti Georgia.g
24. T. Sandell, 2014, Guidelines for the comparative studies and diagnostics on Cultural Policy, RMCBU Workshop.
25. European Conference 'Cultural heritage and the EU-2020 strategy – towards an integrated approach' November 13–14, 2013, Vilnius, Lithuania
26. Blueprint Capacity-Building Strategy for Central, Eastern and South Eastern Europe, 2013
27. Conservation Principles, Policies And Guidance For The Sustainable Management Of The Historic Environment, 2008, English Heritage.
28. Declaration of the Ministers and Heads of delegations, First Eastern Partnership Ministerial Conference on Culture 28 June 2013, Tbilisi, Georgia
29. English Heritage Policy Statement On Restoration, Reconstruction, And Speculative Recreation Of Archaeological Sites Including Ruins, 2001, English Heritage.
30. Guidelines On Cultural Heritage, Technical Tools For Heritage Conservation And Management, 2012, CoE.
31. National Spatial Development Concept 2030, Ministry of Regional Development Warsaw 2012.
32. An Overview of Japan's Policies on the protection of Vutural proerties, 2000, Agency for Cultural Affairs.
33. Principles for the Conservation of Heritage Sites in China, 2000, The Getty Conservation Institute.
34. Implementation of the European Neighbourhood Policy in Georgia Progress in 2013 and recommendations for action, Accompanying the document, Joint Communication To The European Parliament, The Council, The European Economic And Social Committee And The Committee Of The Regions Neighbourhood at the Crossroads: Implementation of the European Neighbourhood Policy in 2013.

4. საკანონმდებლო აქტები

1. საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.
2. საქართველოს თვითმმართველობის კოდექსი.
3. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ.
4. საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემების შესახებ.
5. საქართველოს კანონი სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ.
6. საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობების კოდექსის პროექტი
7. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ.
8. საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი.
9. Council of Europe, Framework Convention on the Value of Cultural Heritage for Society, 2005
10. UNESCO Convention on the Protection and Promotion of the Diversity of Cultural Expressions, 2005.
11. Council of Europe Convention on the Protection of Architectural Heritage of Europe (Granada Convention), 1985.
12. UNESCO Convention Concerning The Protection Of The World Cultural And Natural Heritage, 1972.

რეგიონული თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისთვის
საქართველოს ICOMOS-ის ეროვნული კომიტეტი
მერაბ ბოჭოიძე – პრეზიდენტი

საპროექტო ჯგუფი

ნატო ცინცაბაძე - პროექტის კოორდინატორი
ლია ბოკუჩავა - დირექტორი
მანანა თევზაძე - მთავარი ექსპერტი
მარინე ყენია - ჟურნალის რედაქტორი
მანანა სურამელაშვილი - ექსპერტი
ციცინო ჩაჩხუნაშვილი - ექსპერტი
ლელა ნინოშვილი - პროგრამის ასისტენტი
ეთერ მაღულარია - ფინანსური მენეჯერი

საერთაშორისო კონსულტანტები

პერ მორტენ ეკერჰოვდი (ნორვეგია)
ლუიზა დე მარკო (იტალია)
მორტენ სტიგე (ნორვეგია)
ალექსანდრა ჩიუევსკა (პოლონეთი)
შურ ჰელსეთი (ნორვეგია)

აქტივობა 1. მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკა საქართველში
დოკუმენტის ტექსტი გამოცემისთვის მოამზადა ნატო ცინცაბაძემ.
ხედვა, მისისა: მარინე მიზანდარი, ნატო ცინცაბაძე

რედაქტორი: მერაბ ბოჭოიძე



EUROEAST
CULTURE

დოკუმენტის მომზადება და გამოცემა დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

პუბლიკითა განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხადაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია ICOMOS საქართველო. წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ევროკავშირის პოზიციას.